გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N18 (9234) | 30 ივნისი, 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

## მშენებლობა დაიწყო

2





## კარგი შედეგი არ ნიშნავს პრობლემის საბოლოო აღმოფხვრას

2

## სასიკეთო სიახლეები ბაშის თემში

2

## ცვლილება სოციალური პროგრამების ბიუჯეტში

3

## „იმერული ფერმა“

4



## სამტრედიელმა ინტელექტუალებმა შედეგი გაიუმჯობესეს

## „დეპეშიდან“ „სამტრედიის მაცნემდე“ რადიოს პირველი ადგილობრივი მაუწყებლობა



„იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“

ცისფერ ეკრანზეა სამტრედიის რაიონი

სამტრედია საქართველოს ქალაქებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა. აქ 1870 წელს გაჩნდა პირველი დასახლება, საცხოვრებელი სახლები, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოები. დაბა სამტრედიამ სწრაფად იწყო განვითარება. ახლა იგი ქალაქი და რაიონული ცენტრია. სამტრედიის რაიონის მშრომელები, რომლებმაც გასული წლის ოქტომბერში იზეიმეს თავიანთი ქალაქის დაარსების 100 წლისთავი, ღირსეულ შრომით საჩუქრებს უმზადებენ ჩვენი პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

მორიგ გადაცემაში ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ გაეცნობით სამტრედიის რაიონის მშრომელთა მიღწევებსა და წარმატებებს. გადაცემას ტელევიზიით ნახავთ 31 იანვარს, 19 საათსა [illegible] წუთზე.

გადაცემის ავტორები [illegible] თ. ხომერიკი და გ. უშვერ[illegible] რეჟისორ-ოპერატორი — გ. იოგოგიძე.

9

8

## წიგნს თავისი რომანტიკა აქვს

7

## ასე უყვართ საქართველოში




## „ალიყომის“ უახლოესი მომავალი როდემდე გაგრძელდება?

# მშენებლობა დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

ქალაქის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კორპუსებზე ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. რუსთაველის 2 ნომერში მდებარე მრავალბინიან კორპუსზე სამუშაო ბრიგადა საქმიანობას 10 დღის წინ შეუდგა. პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ნალესის ჩამოფხეკა, კედლის ლესვითი და სამღებრო სამუშაოები. შეგახსენებთ, რომ პროექტის საერთო ღირებულება 405 000 ლარი იყო, მშენებელმა ორგანიზაციამ 397 000 ლარით გაიმარჯვა. რეაბილიტაცია მოიცავს რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 10 საცხოვრებელ ბინას. ფასადების სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება შენობის სამ მხარეს, გარდა საცხოვრებელი სახლის ეზოების მიმართულებიდან.



ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიას განმარტებით, კორპუსებს გამოეცვალათ ჩამომყვანი მილები, ძაბრები, აივნებს ჩაუტარდებათ სარეაბილიტაციო სამუშაოები: “ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ ღანირის ცენტრში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობაში, რომელშიც საბოლოოდ განთავსდება საბავშვო ბაღი. დღეის მდგომარეობით შენობა გადახურული მთლიანადაა ახალი სახურავით, ჩასმულია კარ-ფანჯრები, შენობის შიგნით დამონტაჟებულია ელექტროობა და გალესილია შიგა კედლები. ამჟამად მიმდინარეობს გარე ლესვითი სამუშაოები. პროექტის საბოლოო ღირებულება 193 000 ლარს შეადგენს, რომელშიც შპს “ამაგმა” გაიმარჯვა 153 000 ლარით. ეკონომიამ 40 000 ლარი შეადგინა”.





მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახური ამ ეტაპზე ასევე ახორციელებს მონიტორინგს რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტბეტონის სამუშაოების შესრულებაზე. დღეის მდგომარეობით დაგებულია სოფელ ბაშში 2100 მეტრზე ასფალტბეტონის საფარი, დაიგო აგრეთვე ერისთავის, ახალგაზრდობისა და პეკინის ქუჩებზე. ასფალტბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს სოფელ იანეთში. ასფალტბეტონის საფარის დასაგებად საფუძველი მომზადებულია ბახტაძისა და ქაროსანიძის ქუჩებზე.

რეგიონული განვითარების ფონდის პროგრამით დარჩენილია ქალაქისა და დაბა კულაშის ტერიტორიაზე 10 მრავალსართულიანი კორპუსის გადახურვის სამუშაოები. ზურაბ გოგიას თქმით, სამუშაოები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეფერხებულია: “ტენდერში მონაწილე ერთ-ერთ კომპანიას სატენდერო კომისიის მიერ მიეცა დისკვალიფიკაცია, რომელმაც საჩივარი შეიტანა შესყიდვების სააგენტოში. თუ სააგენტომ დადებითი დასკვნა მისცა, კომპანია შეუდგება საქმიანობას, უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კი კომისია სხვა კანდიდატზე გადავა”.

# ცვლილება სოციალური პროგრამების ბიუჯეტში

ნინო ნანიტაშვილი

50 000 ლარით გაიზარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი სოციალური პროგრამა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 ივნისის რიგგარეშე სხდომამ მხარი დაუჭირა აღნიშნული თანხის გაზრდას.



მატება შეეხო: მუხლი 4 _ დედ-მამით ობოლ ბავშვთა ფინანსურ დახმარებას. 10 000 ლარის ნაცვლად დახმარება 12 000 ლარი გახდა. მუხლი 9 _ მოქალაქეთა სარიტუალო მომსახურება იყო 3 800 ლარი, გახდა 6 800 ლარი. მუხლი 7 _ ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში 86 700 ლარი გაიზარდა 25 000 ლარით და მივიღეთ 111 700 ლარი. მუხლი 12 _ დიალიზის სახელმწიფო პროგრამა, იყო 87 400 ლარი, დაემატა 10 000 ლარი და გახდა 97 400 ლარი. მუხლი 13 _ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და ა. შ. იყო 30 200 ლარი, დაემატა 10 000 ლარი და გახდა 40 200 ლარი.

“სამტრედიის მაცნე” დაუკავშირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს. ლევან ახობაძის თქმით, გაზრდილი ბიუჯეტი შედარებით გააუმჯობესებს ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მოქალაქეების სოციალურ პირობებს: “ეს პროგრამები ძირითადად არის ყოველთვიური დახმარებები, რასაც ჩვენი სამსახური გასცემს. წლის დასაწყისში ჩამოთვლილი კატეგორიების რაოდენობა გაიზარდა, ამიტომ მოხდა ბიუჯეტში ცვლილება. ასევე გაიზარდა ერთჯერად დახმარებაზე განცხადებები, მე-17 მუხლში ცვლილებაც სწორედ ამის გამო შევიტანეთ”.

# კარგი შედეგი არ ნიშნავს პრობლემის საბოლოო აღმოფხვრას

ნინო ნანიტაშვილი

ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლის პირველი ეტაპის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვერაგი მავნებლის გასანადგურებლად ბრძოლა თითქმის ყველა ტერიტორიაზე მიმდინარეობს. 72 ჯგუფი პარალელურ რეჟიმში დილისა და საღამოს საათებში შეწამვლის სამუშაოებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით ახორციელებს. შეგახსენებთ, რომ თითოეულ ჯგუფში 2 ოპერატორი მუშაობს, რომლებიც სპეცსამოსით და უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების დაცვით აწარმოებს შეწამვლით სამუშაოებს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სამუშაოებს ზედამხედველობასა და მონიტორინგს უწევს გამგებლის მოადგილე, როსტომ თავაძე. მისი ინფორმაციით, ივნისის ბოლოსთვის პირველი ეტაპის სამუშაოების 60%-ია შესრულებული: “ჩემთან ერთად ზედამხედველობას ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები. მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მთელი დღის განმავლობაში. ჯერჯერობით ეტაპობრივად შეწამლულ ტერიტორიებში, კონტროლის მიზნით, ხდება ე. წ. ხაფანგების დაკიდება. ჩვენს მიერ ამ უკანასკნელსაც ეწევა მონიტორინგი. სურათი არის დამაკმაყოფილებელი. შეწამლულ უბნებში, სადაც ხაფანგები დაიკიდა, მივიღეთ კარგი შედეგი. ეს ნიშნავს იმას, რომ ფაროსანა ნადგურდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამ ეტაპზე მთლიანად აღმოიფხვრება”.



მამუკა თავაძის განმარტებით, ფაროსანასთან ბრძოლა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წელი: “სამუშაოების დამთავრების შემდეგ ისევ დაიკიდება ე. წ. ხაფანგები, სრულ სურათს მივიღებთ სწორედ ამის შემდეგ, რაც მოგვცემს საშუალებას, დავადგინოთ, არის თუ არა საჭირო შეწამვლის შემდეგი ეტაპის განხორციელება. მინდა, გითხრათ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა შეგნებით და გულისხმიერად მოეკიდა შეწამვლის სამუშაოებს, არ გვქონია სერიოზული შეფერხებები, პროცესი გართულებული ინციდენტების გარეშე მიმდინარეობს, რისთვისაც გამგებლის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ჩვენი ჯგუფის სახელით მადლობას ვუხდით მოსახლეობას. აქვე დავამატებ, რომ თუკი სამტრედიაში დროულად და მასშტაბურად მიმდინარეობს საშიში მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მთავრობას, მაჟორიტარ დეპუტატს, გრიგოლ მიქელაძეს, გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას და ადგილობრივი ხელისუფლების მთელ გუნდს”.

# სასიკეთო სიახლეები ბაშის თემში

ნათია ნაცვლიშვილი

გამგებლის წარმომადგენელს ბაშის თემში, რამაზ კაშიას სოფელ ბაშში ბოლო დროს მიმდინარე სხვადასხვა სამუშაოების შესახებ ვთხოვეთ კომენტარი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი თემა ვარციხეჰესის მეოთხე კასკადის სადრენაჟე არხის გაფართოებაა. საუბარიც ამით დავიწყეთ: “ეს ყველაზე საჭირბოროტო საკითხია, გაფართოების პირველი ეტაპი ერთი თვის წინ დასრულდა, ეს საკითხი ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონ გრიგოლ მიქელაძის უშუალო ჩარევითა და გვერდით დგომით დაიძრა, საქმეს აქამდე აჭიანურებდნენ ვარციხეჰესის ხელმძღვანელები. პირველ ეტაპზე, დაახლოებით, ცხრა მეტრით გაფართოვდა სამკილომეტრიანი არხის კილომეტრ-ნახევრიანი მონაკვეთი. სამუშაოებს კომპანია “ჯორჯიან მანგანეზი” აწარმოებს. ეს ბაშელების უსაზღვრო სიხარულის საბაბია, თქვენ პირადად, როგორც მას-მედიის წარმომადგენელი, არაერთხელ ყოფილხართ მომსწრე და მონაწილე, როგორ იტბორება სოფელი წლების განმავლობაში და რა დიდი ზარალი მიადგა მოსახლეობას ამის გამო. სულ ბოლო ხანს, ადრე გაზაფხულზე ჩვენთან იმყოფებოდა იმერეთის გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადირაძე ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად. საბედნიეროდ, საკითხი დაიძრა, ბატონმა გრიგოლ მიქელაძემ თავისი დაპირება ბაშელებს შეუსრულა და კომპანიამ არხის გაფართოების სამუშაოები დაიწყო. პროცესი სამ ეტაპს მოიცავს, უკვე მეორე ეტაპზე ვიმყოფებით, წლის ბოლომდე მესამე ეტაპიც დასრულდება და საბოლოოდ მოხდება ამ სადრენაჟე არხის გაფართოება. “ბაშში პარალელურად კიდევ ერთი სასიკეთო პროექტი ხორციელდება, რომელიც სოფლის შიდა სატრანსპორტო გზების მშენებლობას გულისხმობს. პროცესი გასულ წელს დაიწყო და უმოკლეს ხანში დასრულდება. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. გზის 25 კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტება 195 000 ლარი ჯდება. სამუშაოებს ახორციელებს შპს “ ინდიკო”.

ბაშში აქტიურად მიმდინარეობს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები. მცენარეების შეწამვლით სამუშაოებს ორი მუშა ჯგუფი ახორციელებს, ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან წამლით, საწვავითა და შესაბამისი აღჭურვილობით.








# საგანმანათლებლო რესურსცენტრს მთავარი სპეციალისტები ჰყავს

**ნინო ნანიტაშვილი**

28 ივნისიდან სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მთავარი სპეციალისტის შტატზე დაინიშნენ ალექსანდრე თევზაძე და ლილი ფხაკაძე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 13-მა კონკურსანტმა. მათ შორის იყვნენ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ყოფილი უფროსი სპეციალისტი _ პედაგოგი ალექსანდრე თევზაძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ყოფილი იურისტი ლილი ფხაკაძე.

კონკურსი სამ ეტაპად განხორციელდა: პირველი ეტაპი დოკუმენტაციის გადარჩევა 13-დან 7-მა, ხოლო მეორე ეტაპი _ ტესტირება 3-მა კონკურსანტმა გადალახა. გასაუბრების შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით, რესურსცენტრის მთავარ სპეციალისტებად დაინიშნენ ალექსანდრე თევზაძე და ლილი ფხაკაძე. კონკურსის შედეგად ალექსანდრე თევზაძე დაწინაურდა უფროსი სპეციალისტიდან მთავარ სპეციალისტად: "ერთი საფეხურით ამაღლებასთან ერთად, რა თქმა უნდა, სამუშაო მომემატა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის დებულების მიხედვით ჩვენ, მთავარ სპეციალისტებს დაგვევალა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან კონსულტაციის გაწევა. ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლების შეფასების ჯგუფებთან ჩართვა".

# „იმერული ფერმა"

**ნინო ნანიტაშვილი**

ნოე ივანიაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი 27 ივნისის სხდომაზე წარმოდგენილი იყო, როგორც აღმასრულებელი ორგანო. პროექტი თავის დროზე ქონების განკარგვის კომისიის მიერ იქნა მოწონებული და მხარდასაჭერად მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაეცა: "მე, როგორც პროექტის მხარდამჭერი, კმაყოფილი ვარ იმით, რომ საკრებულო დაეთანხმა, ხელშეკრულება დაიდოს სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და "როგი +"-ს შორის. პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ორმაგად საინტერესოა. პირველი _ მოწესრიგდება და გაკეთილშობილდება გაჩანაგების პირას მისული ყოფილი მეფუტკრეობის მეურნეობის ინფრასტრუქტურა, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, წარმოებული იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მეორე და არანაკლებ მთავარი, აღნიშნულ პროექტში ჩადებული ინვესტიცია 100-ვე პროცენტით ადგილობრივია, ქართულია".

ნოე ივანიაძესთან ერთად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ასევე მიწვეულნი იყვნენ შპს "როგი +"-ის დამფუძნებლები, გიორგი ქიმუცაძე და რობერტ ნიკოლეიშვილი.

შპს "როგი +"-ის დირექტორმა, გიორგი ქიმუცაძემ პასუხები გასცა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. კერძოდ, რა საქმიანობას აპირებენ, რამდენ ადგილობრივ კადრს დაასაქმებენ. დაინტერესდნენ იმითაც, შენარჩუნდება თუ არა წერეთლის ქუჩაზე, ყოფილი მეფუტკრეობის მეურნეობის ტერიტორიაზე, გაშენებული მწვანე საფარი.

გიორგი ქიმუცაძის პასუხები მისაღები აღმოჩნდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისთვის.

"სამტრედიის მაცნემ" სხდომის ბოლოს შპს "როგი +"-ის დირექტორთან მოკლე კომენტარი ჩაწერა: "პიროვნება, რომელიც გვერდით მიდგას, ჩემი ბავშვობის მეგობარია. მასთან ნათესაური კავშირიც მაკავშირებს. სამტრედიაში ძალიან კარგად იცნობენ. რობერტ ნიკოლეიშვილი რეზო ნიკოლეიშვილის ვაჟია, რომელსაც მთელ საქართველოში იცნობენ, როგორც შპს "ვერძის" დირექტორს, წარმატებულ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს.

შპს "ვერძი" 1998 წლიდან მეფრინველეობას ავითარებს, ამარაგებს ქართულ ბაზარს აბორიგენული ფრინველის ჯიშით. პარტნიორის შერჩევისას "ვერძის" წარმატებების გათვალისწინებით ვისარგებლე და მჯერა, "როგი +"-იც ისეთივე წარმატებული საწარმო იქნება. გაინტერესებთ, ალბათ, რის წარმოებას ვაპირებთ: ძირითადი საქმიანობა ძროხების შემოყვანაა, პარალელურად თანამედროვე სტილის ლაბორატორიის შექმნასაც ვფიქრობთ, რომელიც მომწოდებელს დააინტერესებს მოიშენოს მეტი მსხვილფეხა პირუტყვი. ჩვენთან თანამშრომლობით გლეხს გაცილებით უკეთესი პირობები და მეტი მოგება ექნება ნაკლები შრომის სანაცვლოდ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ჩვენ, როგორც ბიზნესმენები, ჩვენს მოგებაზე ვფიქრობთ, მაგრამ პარალელურად ჩვენი მომავალი საქმიანობა საინტერესო იქნება იმ კუთხითაც, რომ პირველ ეტაპზე დასაქმდება 8 ადამიანი, წლის თავზე კი ინვესტიცია გასამმაგდება და შესაბამისად მუშახელის რაოდენობაც გაიზრდება. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას ვუხდით მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ გრიგოლ მიქელაძეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ქონების მართვის სამსახურის უფროსს, ნოე ივანიაძეს დახმარებისთვის".



27 ივნისის საკრებულოს თანხმობის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობასა და როგი +"-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდება. როგორც დამფუძნებლები გვპირდებიან, საქმიანობას იმთავითვე შეუდგებიან.



# „ალტკომის" უახლოესი მომავალი როდემდე გაგრძელდება?



**ნინო ნანიტაშვილი**

გორმაღლის მოსახლეობა უკმაყოფილოა. მათი განაწყენების საფუძველი უკრაინული კომპანია შპს "ალტკომია", რომელმაც 3 წლის წინ მოსახლეობას საწრეტ არხებთან დაკავშირებით პრობლემა შეუქმნა. კერძოდ, ავტობანის მშენებლობის შედეგად საწრეტი არხი ჩაიკეტა, რომელსაც ნალექი უნდა გაეტარებინა. ეს უკანასკნელი 3 წელია, გორმაღლის მოსახლეობის საყანე ფართობებში დგება.

როგორც გამგებლის წარმომადგენელი გორმაღლის თემში, ხათუნა ლებანიძე განმარტავს: "ადგილობრივების პრეტენზია საფუძვლიანია. მოსახლეობას ამ ფართობების გარდა არ გააჩნია სხვა საყანე ფართობები. როგორც კი ეს პრობლემა წარმოიქმნა, მაშინვე მივმართეთ "ალტკომს", მოეგვარებინა აღნიშნული პრობლემა. ერთად გავიარეთ ფართობებში, მოვამზადეთ პროექტი, შემუშავდა გეგმა, როგორ უნდა გაეტარებინა არხს ფართობებში დამდგარი წყალი".

ხათუნა ლებანიძის მცდელობას, პრობლემა ადგილობრივების სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, შედეგი არ მოჰყოლია. "ალტკომი", გამგებლის წარმომადგენლის თქმით, პროექტის განხორციელებაზე თავს არ იწუხებს: "სპეციალურად არიდებს თავს სამუშაოების შესრულებას. საკუთარი თვალით ხედავენ, როგორ დარჩა გლეხობას ფართობები დაუმუშავებელი". _ დასძენს ხათუნა ლებანიძე.

სოფლის გასაჭირი გამგებლის წარმომადგენელმა ჯერ მუნიციპალიტეტის გამგეობამდე მიიტანა, შემდეგ საქმის კურსში საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარი ჩააყენა. "ალტკომმა", როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობას, ასევე დეპუტატსაც წერილი გაუგზავნა, რომ უახლოეს მომავალში აღნიშნულ სამუშაოებს შეასრულებენ.

გორმაღლის მოსახლეობა უიმედოდ იცდის, რადგან ზემოაღნიშნული წერილები ერთთან ერთი თვის წინ, მეორესთან 2 კვირის წინ მივიდა. გორმაღლელებს, რომლებიც წელს პრაქტიკულად მოსავლის გარეშე არიან დარჩენილები, აინტერესებთ, უკრაინელებს უახლოესი მომავალი რამდენ თვეს და უარეს შემთხვევაში, რამდენ წელიწადს ნიშნავს.

# სამტრედიელმა ინტელექტუალებმა შედეგი გაიუმჯობესეს

ნათია ნაცვლიშვილი

***24-25 ივნისს ტრადიციულად გაიმართა საქართველოს 23-ე ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?". ჩემპიონატი საქართველოს დედაქალაქში ჩატარდა და მას სასტუმრომ "Biltmore" უმასპინძლა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტელექტკლუბის გუნდი "ინტერსტელარი" წლებია ასპარეზობს ინტელექტუალურ ჩემპიონატში, წარმატებული აღმოჩნდა წლეულს გუნდის ასპარეზობა, სამტრედიელმა ინტელექტუალებმა შარშანდელი შედეგი 15 ადგილით გაიუმჯობესეს. გუნდი მართლაც წარმოადგენს სამტრედიელთა სიამაყეს, მასში რამდენიმე თაობის მოთამაშეები ჰარმონიულად თანაარსებობენ და შედეგებიც სახეზეა.***

ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ ინტერსტელარის კაპიტანსა და ინტელექტკლუბის პრეზიდენტს, გიორგი ჩაჩუას:

"წლევანდელ ჩემპიონატზე გუნდების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა_ სულ დარეგისტრირდა 89 გუნდი, რომელთაგან 60-მა იასპარეზა ფინალურ ტურში, აღსანიშნავია, რომ წელს სამტრედიის ინტელექტკლუბის გუნდი "ინტერსტელარი" განთესილთა შორის იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ ფინალში ჩავერთეთ. ფინალურ ტურში სულ დაისვა 72 შეკითხვა და ერთმანეთს საქართველოს უძლიერესი მოაზროვნეები ეჯიბრებოდნენ, გამარჯვება მოიპოვა გუნდმა, "ჯაგერნაუტი", რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდა საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი მოაზროვნე გიორგი ბაქრაძე. როგორც წამყვანმა, ბატონმა გიორგი მოსიძემ აღნიშნა, გიორგი ბაქრაძისათვის ეს უკვე მეათე ტიტული იყო. აქვე, ინტელექტკლუბის პრეზიდენტმა გიორგი ბაქრაძეს ხუმრობით "უსაყვედურა", რომ დრო იყო, ასპარეზი ახალგაზრდებისთვის დაეთმო. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და შარშანდელი შედეგი 15 ადგილით გავიუმჯობესეთ, რა თქმა უნდა, ვაპირებთ ტემპის შენარჩუნებას და მომავალ ტურნირებში შევეცდებით კიდევ უფრო მაღალი ადგილების დაკავებას. ასევე გეტყვით, რომ რეგიონალური პრინციპით გადანაწილების შემთხვევაში ჩვენზე წინ მხოლოდ ქუთაისის 2 გუნდია, ასე რომ, პროგრესი გვაქვს, რისთვისაც მადლობას ვუხდი ჩვენი გუნდის ყველა წევრს, მხარდაჭერისათვის დიდ მადლობას ვუხდით სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს".

გუნდის ტიტულოვან მოთამაშეს, ზაზა ადეიშვილს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის დერეფანში შევხვდით და უკომენტაროდ, აბა, როგორ გავუშვებდით! ზაზა ადეიშვილი: " სამოცდაათ გუნდში ოცეულში რომ მოხვდები, უკვე კარგი შედეგია. სამტრედიელ ინტელექტუალთა გუნდი ელიტასთან მიახლოვებულია, მარჯვენა მაგიდასთან გიორგი ბაქრაძის გუნდი იჯდა, ჩვენს მარცხნივ კი დავით რაფავას ექვსეული, სადაც შედიოდნენ ია მეტრეველი, გაგი გაბრიჭიძე და სხვები, ჩვენ შუაში ვიყავით და მოფერების, შეხუმრების და რეპლიკის გარეშე მოსიძე არ გვტოვებდა, ასეთი კარგი ადამიანების გარემოცვაში ვიყავით. ეს შედეგიც პროგრესია, სუპერლიგაში ასეთ მაღალ ადგილებზე ვერ გავდიოდით. ბრეინ რინგში და ჯეპარდში გვქონდა გარკვეული მიღწევები, მაგრამ გუნდურად "რა? სად? როდის? " მათთან გვეჭიდავა, ვერ ვახერხებდით. სამტრედიის გუნდი ეგზოტიკური ხილივით ვიყავით, მოსიძე რომ დაგვინახავდა, იტყოდა, აი, სამტრედიელებიც აქ არიანო. ახლა კი ამ გუნდების ტოლ-სწორნი ვართ, ამის მიზეზი კი ისაა, რომ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა შემოგვემატა. გიგა ჩალიგავას, დავით მანჯგალაძისა და სხვათა ინტეგრირებამ ჩვენს გუნდში გამოიწვია ეს პროგრესი."



# პროექტში "საქართველოს მოხალისე" სამტრედია ორმა მოსწავლემ წარმოადგინა

ნათია ნაცვლიშვილი

***პროექტს " საქართველოს მოხალისე" საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო "მოხალისეობის განვითარების" პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. ამ პროექტის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის განვითარება საქართველოს რეგიონებში, ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია, მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება... კონკურსი ნიჭიერი მოსწავლეების შესარჩევად საქართველოს 10 რეგიონსა და 64 მუნიციპალიტეტში გამოცხადდა.***

სააპლიკაციო ფორმების საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან მოხდა გასაუბრება, მათ შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, ორგანიზაციამ "ჰელფინგ ჰენდი, სამინისტროს მიერ შერჩეულმა საკოორდინაციო რეგიონალურმა არასამთავრობოებმა. თითოეულ მუნიციპალიტეტში ორი გამარჯვებული გამოვლინდა. წლეულს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ამ პროექტში მაია ფოცხიშვილმა და ნათია ჯიბაშვილმა გაიმარჯვეს. ორივე მათგანი მე-10 საჯარო სკოლის (დირექტორი თამარ თევზაძე) მეათეკლასელია. მოსწავლეებს ტრენინგ-სემინარები წყალტუბოში საზაფხულო ბანაკში ჩაუტარდათ, იქ მათ 5 დღე დაჰყვეს. ბავშვებს სამომავლოდ ევალებათ, თემში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, განახორციელონ სხვადასხვა პროექტები. პროგრამის ფარგლებში შერჩეული მოხალისეები 2017 წლის ბოლომდე საკუთარი თავისუფალი დროის, ცოდნისა და უნარების გამოყენებით, თავიანთ წვლილს შეიტანენ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაში, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, რეგიონებში განახორციელებენ შემდეგ ინიციატივებს: მოხალისეთა კლუბის შექმნა, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საქველმოქმედო საქმიანობა_ სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების დახმარება, ფილმების ჩვენება, უცხო ენის კურსების გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, შშმ ბავშვების ინტეგრაცია, შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა.



ჩვენთან საუბარში მე-10 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ეკატერინე ფოცხვერიამ აღნიშნა: " შემეხმიანნენ ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრიდან, რომ ჩემს მოსწავლეებსაც მიეღოთ მონაწილეობა ამ კონკურსში, ეს ცენტრი ემსახურება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ჩემთვის ძალზე საამაყოა, რომ ჩვენი სკოლის ორმა მოსწავლემ გაიმარჯვა ამ პროექტში, როგორც პედაგოგი, ბუნებრივია, ხელს ვუწყობ ამ ბავშვების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის სამოქალაქო კლუბის საქმიანობაში, ეს ტრენინგ-სემინარი მათთვის ბევრის მიმცემი იქნება." სამტრედიის მაცნეს" პროექტში გამარჯვებულები ეწვივნენ და შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

მაია ფოცხიშვილი: " აპლიკაციის შევსების შემდეგ გავიარეთ გასაუბრება, გვითხრეს, რომ თუ მათ მოთხოვნებს დავაკმაყოფილებდით, დაგვიკავშირდებოდნენ. რამდენიმე დღეში დაგვირეკეს და წავედით წყალტუბოში, სასტუმროში " სპარეზორთი". იმ დღესვე დავიწყეთ ტრენინგი. ვიყავით 140 ბავშვი, სამტრედიას მხოლოდ ჩვენ წარმოვადგენდით, რაც ჩვენს პასუხისმგებლობას ზრდიდა. ტრენინგებს ჰქონდა როგორც შემეცნებითი, ისე გასართობი მხარე, ვაწყობდით თამაშებს სამოქალაქო განათლების თემაზე, ვმართავდით სხვადასხვა წვეულებებს, მთელი დღის მუშაობის შემდეგ საღამოს ვწერდით კონკრეტულ პროექტს, ასევე შევხვდით ინგლისელ სტუმარს, რომელიც ამჟამად ბაღდათში ცხოვრობს, მან გვასწავლა პროექტის წერა. ასევე გვასწავლეს ვიდეორგოლის მონტაჟი. მსგავს ბანაკში პირველად ვიყავი, ამან შემძინა კომუნიკაციის უნარი, ასევე აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას თავდაჯერება და შევიძინეთ მეგობრები.

ჩემს პედაგოგს, ეკატერინე ფოცხვერიას, არა მარტო ამ პროექტში ჩართვის გამო ვუხდი მადლობას, არამედ იმისთვისაც, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის აქტიურ მოქალაქედ ჩემს ჩამოყალიბებაში."

ნათია ჯიბაშვილი: " მეც მადლობით მინდა დავიწყო, მადლობა ორგანიზაცია "ჰელფინგ ჰენდს", რომელმაც მოგვცა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და ამ სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. მადლობა ჩვენს ტრენერს ანა ჩოხელს, საინტერესო და საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებისთვის. დავწერეთ პროექტი შშმ პირების საზოგადოებაში აქტიური ჩართულობის თემაზე, გვასწავლეს სხვადასხვა ტიპის განცხადების წერა, დავიყავით ჯგუფებად და შევეჯიბრეთ ერთმანეთს მხიარულ კონკურსში: "ტალანტ შოუ". იმერეთის წარმომადგენელთა კოორდინატორ ნანა წოწონავასთან ერთად დავგეგმეთ, სექტემბერში განვახორციელოთ სამოხალისეო პროექტი, რომელიც საქველმოქმედო ხასიათისა იქნება. რომ არა ეკა მასწავლებელი, ჩვენ ამ საინტერესო პროექტის შესახებ ვერ გავიგებდით, დიდი მადლობა მას".

# ამოუცნობის ამომცნობელთა არაჩვეულებრივი გამოფენა

ნათია ნაცვლიშვილი

***_ შენ უნდა დაინტერესდე, რა ხდება ხილული სამყაროს მიღმა, ამოუცნობი სამყაროს ამოცნობა, გაგება იმისა, რა იმალება ცხრაკლიტულში_ აი, რა არის მხატვრობა, უნდა გაიგო, რაშია შენი განსაკუთრებული ხედვის უნარი, და თუ თავისუფალი არა ხარ, ვერ შექმნი ჭეშმარიტ ნამუშევარს! _ მიმართა მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულებს მხატვარმა დავით მორგოშიამ. მან ერთგვარი მასტერკლასი ჩაუტარა პატარებს. ბავშვების საოცარი მობილიზება და გაფაციცებით სმენა ადასტურებდა მოსაუბრისადმი დიდ ინტერესს. ცნობილი ხელოვანი სამტრედიას არცთუ დიდი ხანია, საპატიო მიზნით სტუმრობს. ის დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მოხატვაზე მუშაობს.***



სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულებს საზეიმო გაცილებას ყოველწლიურად უწყობენ სამხატვრო სკოლის დირექტორი ნინო ნინუა და პედაგოგები. სკოლის ფოიეში ტრადიციულად გამოიფინა მოსწავლეთა ნახატები. ნამუშევრები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრში, იყო გამოყენებით ხელოვნებაშიც, ამ სკოლაში ძალიან კარგად მუშაობს ხატწერის წრე, ყველა სტენდზე იყო წარმოდგენილი რელიგიური შინაარსის ნახატები. წლეულს 16 კურსდამთავრებულია. თითოეულ მათგანს დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილთან და გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსთან, ნატალია მანჯგალაძესთან ერთად ეწვია სამხატვრო სკოლას. სტუმრები თითოეული მოსწავლის სტენდთან გაჩერდნენ და ინტერესით დაათვალიერეს მათი ნახატები, გაესაუბრნენ ნამუშევრების ავტორებსაც. სამხატვრო სკოლის დირექტორი, ნინო ნინუა: "მადლობა მობრძანებისათვის, ჩვენმა ბავშვებმა მათი ნაშრომ-ნაღვაწი გამოფინეს, განსჯა თქვენთვის მოგვინდია, ყველას წარმატებებს გისურვებთ, ბავშვებო, თქვენი ადგილი დაგემკვიდრებინოთ იმ ღირსეული ადამიანების გვერდით, რომლებმაც ქართული ხელოვნება ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანეს, მადლობა პედაგოგებო იმისათვის, რომ თქვენმა მოსწავლეებმა ასე ლამაზად წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები სტუმრების წინაშე! თქვენ არ დაიშურეთ ცოდნა და ენერგია, რომ აქედან ცოდნით აღჭურვილნი წასულიყვნენ ბავშვები, რთულია, მაგრამ საინტერესოა ხელოვანის გზა, თუკი აირჩევთ ამ გზას... ყველანი ძალიან კარგები იყავით, გაცილებთ დიდი სიყვარულით."

ამ სამხატვრო სკოლის აღზრდილია მხატვარი გია შუბლაძე, რომელმაც უამრავი თბილი სიტყვა და მადლობა უთხრა თავის პედაგოგ გივი წვერავას გაწეული შრომის გამო და იმისთვისაც,



რასაც ახალგაზრდობისათვის ახლა აკეთებს. გია შუბლაძე: " ჩემთვის ყოველი დღე, რომელიც ხელოვნებას ეძღვნება, საზეიმოა. დღეს აქ ხელოვნების ზეიმია! პირადად მე ყველა ჟანრში ვხატავ, ყველა ჟანრის ნახატი მომწონს, ძალიან მომწონს ამ ბავშვების შემოქმედება და წარმატებებს ვუსურვებ მათ".

დავით მორგოშია: "გადავავლე თვალი ნამუშევრებს, რა თქმა უნდა, საკმაოდ კარგი, იმედისმომცემი თაობა მოდის, მომწონს, ხელოვნებისადმი ინტერესი რომ აქვთ, სხვა მხატვრების გამოძახილსაც ვკითხულობ მათ ნამუშევრებში, მიხარია, რომ იცნობენ სხვათა შემოქმედებასაც, არის კერამიკით, ქანდაკებით, ნაქარგობით გატაცება. აინტერესებთ ხელოვნება, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა: ნამუშევარი სათანადოდ რომ აღიქვა, სჭირდება შესაბამისი გარემო. ვფიქრობ, სკოლას უნდა ჰქონდეს თავისი საგამოფენო დარბაზი, ძალიან ცუდი ფონია ამ ფოიეში, ასე ვიწროდ, ერთმანეთზეა მიწყობილი ნამუშევრები და ნახატის აღქმა ჭირს, სამტრედიას, ასეთ ქალაქს უნდა ჰქონდეს დარბაზი, ალბათ, ეს გამოსწორებადია და ეშველება ამ საკითხს."



ვალერი ფოცხვერია: "მართლაც სერიოზული ნამუშევრებია, ჩვენს მუნიციპალიტეტში ძალიან ნიჭიერი ბავშვები გვყავს, ძალიან კმაყოფილი ვარ სამტრედიის სამხატვრო სკოლის პედაგოგთა მუშაობით, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა სამხატვრო სკოლის დირექტორს, თითოეულ პედაგოგს, ვარ მოხიბლული ამ ბავშვების ნახატებით".

ლიზა კრავეიშვილი: "ყოველწლიურად ვესწრები ასეთ შემაჯამებელ ღონისძიებებს, ძალიან წინ წასულები არიან ბავშვები, არაჩვეულებრივად დახვეწილნი, მხატვრობა_ ეს თვითნაბადი ნიჭია, ნახეთ, ჩვენი პატარები ემოციებს და გრძნობებს რა კარგად გადმოსცემენ, ძალიან თბილი აურაა დღეს აქ, აღფრთოვანებული ვარ, ესაა არაჩვეულებრივი გამოფენა."

ნატალია მანჯგალაძე: "მინდა მივულოცო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს კიდევ ერთი არჩვეულებრივი გამოფენის მოწყობა, ვუსურვო მალე ხელოვნების ამ სფეროს მწვერვალების დაპყრობა. არა მარტო თვალს, გულსაც უხარია მათი ლამაზი ნამუშევრების ხილვა".

# აჟღერდნენ კლავიშები და...

ლევან გაბეჩავა

საოცარი ჰანგები ეფინებოდა დარბაზს.

ღია აკადემიური კონცერტზე მიგვიწვიეს ამ დღეებში დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლაში.

აქ ჩატარებულ ლამაზ საღამოებს მიჩვეულებს იმედი ამჯერადაც გაგვიმართლდა.

მაღალი საშემსრულებლო დონე უჩვენეს შეკრებილთ მოსწავლეებმა: ელენე ცინცაძემ, ანა ლორთქიფანიძემ, გიორგი სტურუამ, ქრისტინე კაშიამ, ნინო



თავაძემ, მარიამ ბუაძემ, თეიმურაზ კუჭუხიძემ, გიორგი მენაბდემ, ანასტასია სპირანტმა, ნინო ჩაჩუამ.

ბრწყინვალედ გამჟღავნდა ამ დღეს იმ დიდი შრომის შედეგი, აკადემიური კონცერტის მაღალ დონეზე წარმართვისათვის რომ გასწიეს პედაგოგებმა: ნანი ჟორჟოლიანმა, ნათელა გაბრიაძემ, ინგა შანიძემ, ლიკა მელქაძემ, რამაზ კუბლაშვილმა, მარინა გაჩეჩილაძემ, თამარ შურღაიამ, ელისო ბარათელმა, მაყვალა სანიკიძემ, ვალერი შანიძემ, ლეილა ახალკაცმა, კონცერტმაისტერმა ნათია ვარდანიძემ.

მრავალფეროვანი გახლდათ პროგრამა, შესრულდა: ვივალდის "სავიოლინო კონცერტი", ვაჟა აზარაშვილის "სევდიანი სიმღერა", ზეიცის "სავიოლინო კონცერტი, სოლ მაჟორი, I ნაწილი" ბეთჰოვენის, სულხან ცინცაძის, მერი დავითაშვილის, ნონა ჭახნაკიასა და სხვათა მუსიკალური ნაწარმოებები.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა პედაგოგ ლეილა ძაგნიძის მიერ შესრულებულმა სიმღერამ "მე რა უნდა მიხაროდეს".





კონცერტი დასრულდა.

"ლამაზი დღე იყო, ბევრი უშრომიათ მოსწავლეებს, პედაგოგებს, ყოჩაღ მათ!" _ გვითხრა გომის სამუსიკო სკოლის დირექტორმა პიროსი თავაძემ.

"ტრადიცია გრძელდება, პოზიციებს არ თმობს სკოლა, მადლობა თქვენ!" _ ასე გამოხატა ემოციები ბატონმა იური შანიძემ. თავად სამუსიკო სკოლის დირექტორი დიდხანს საუბრობდა მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

"ჩემო შვილიშვილებო, ამაყი ვარ თქვენით, გმადლობთ, ეს წუთები რომ გვაჩუქეთ, წარმატებებს გისურვებთ!" _ ასე მიესალმა სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს ღვაწლმოსილი პედაგოგი მაყვალა ვაშაკიძე.



ღია აკადემიურ კონცერტს მაღალი შეფასება მისცეს, სკოლის ისტორიაზე, ტრადიციებზე ისაუბრეს და პედაგოგებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს მადლობა მოახსენეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ლიზა კრავეიშვილმა. აღფრთოვანებულები ვართ დღევანდელი დღით! _ აღნიშნეს მათ.

ბევრი ნიჭიერი მოსწავლე წარმოჩნდა ამ დღეს, თუმცა, როგორც იტყვიან, ფურორი გიორგი სტურუამ მოახდინა. ეს მოსწავლე შვიდ ინსტრუმენტს ფლობს და ამ დღესაც არა ერთხელ მოუწია სცენაზე გასვლა და მადლობის გადახდა აღტაცებული მსმენელისთვის.

ბოლოს შეკრებილთ სკოლას სასწავლო ნაწილმა იზო რუსაძემ ის ლაურეატი მოსწავლეები წარუდგინა სხვადასხვა ღონისძიებებიდან მედლებით რომ დაბრუნდნენ და სკოლა, სამტრედია ასახელეს.

სამადლობელს არ იშურებდა მოსწავლეების, პედაგოგებისა და მოწვეული სტუმრებისადმი სახელოვნებო სკოლის დირექტორი ირმა შანიძე.

თითქმის ორი საათი დავყავით მშვენიერების სამყაროში და კვლავ წარმატების სურვილით დავტოვეთ სახელოვნებო სკოლის დარბაზი.

# ფოლკლორული მარგალიტები ღია ცის ქვეშ

ნათია ნაცვლიშვილი

***სალხინო, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ისტორიული სასახლის ეზო, ენით აუწერელი სილამაზე, აქ მყოფს თავი ნამდვილ სამოთხეში გგონია, გინდა, უფრო და უფრო მძაფრად შეისუნთქო შენი სამშობლოს ჰაერი, მიწის და ზეცის სურნელი... ამ უნიკალური ჯიშის ხეთა ჩრდილქვეშ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ტატა გოგუაძე) ფოლკლორული ანსამბლების "ჩანგისა" და "ალილოს" შემაჯამებელი, დასკვნითი კონცერტი გაიმართა. ქართული ჩოხები შარი-შურობენ, ხანჯალს ჩაფრენიან ჭაბუკები, გოგონების სამოსიც ისტორიას აცოცხლებს, ეროვნულ თემატიკას ესაბამება... ნადიდგორალი და ნაშამქორალი სისხლის ყივილი მატულობს და ქართული სულიც იღვიძებს, როცა სიმღერებს დასჭექენ ბავშვები... შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრეს ფოლკლორული განყოფილების ხელმძღვანელმა, მადონა კოხრეიძემ, რომელიც ანსამბლ "ალილოს" წლებია უდგას სათავეში და ხალხურ საკრავთა ანსამბლის "ჩანგი" ხელმძღვანელმა მერი ტკვაცირიამ. ამიერიდან ანსამბლების რამდენიმე თაობა ფოლკლორულ მარგალიტებს ღია ცის ქვეშ ააჟღერებს.***





ასე რომ, ლევან დადიანის სტუმრები ვართ, იმ თავნება და ბობოქარი კაცის, იმერეთი არაერთხელ რომ დაულაშქრავს, არაერთხელ რომ აუწიოკებია მეზობელი სამეფო-სამთავროები. მის მიერ მოოქროვილ-მოჭედილ ხატებზე კი სიამაყით აწერინებდა, ვინ როდის და როგორ დაარბია და მოაოხრა. იმდროინდელი უნიკალური ოჯალეშის ზვრებსაც ვსტუმრობთ და შესანიშნავ ღვინის მარანსაც. უმშვენიერეს ბზის ხეივანს



არაერთი შეყვარებული წყვილის სუნთქვა შემოუნახავს, ტრადიცია დღესაც გრძელდება. ექსკურსია ექსკურსიაზე ეწყობა, ღვთისმშობლის შობის ტაძარშიც ანთებენ სანთელს. უცხოებიც კი სიმღერის ჰანგებს სამტრედიელ ბავშვებთან მოჰყავთ. "იმერული მგზავრულით" მიესალმნენ პატარები სამეგრელოს. მას "მეგრული პოპური" მოჰყვა. "მთიელ ქალთა საცეკვაო", "ცანგალა და გოგონა", "ბახტრიონი", ცხენის წყალი", "ჩვენ ახლა ერთურთს," "მასვი, მაჭამე". "ელვა ხარ, ვაჟაუ"... ხან სვანეთის მთებისკენ, ხანაც, რაჭის ულამაზეს ბუნებაში გაგვტყორცნეს ამ სიმღერებმა. "ტაში, ბიჭო, გიორგუნას" მოტივებზეც აცეკვდნენ, "აჭარული შაირებითაც" გავხალისდით. მადონა მასწავლებელმა კონცერტის მიმდინარეობისას სიტყვა მშობლის ამპლუაში მყოფ, მეთერთმეტე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ მაია ლორიას გადასცა. ქალბატონმა მაიამ პატარებს უნიკალური ადგილის ისტორია შეახსენა: " ბავშვებო, სამშობლოს სჭირდება დიდი გული, ასე ლამაზად რომ იმღეროთ, ჩათვალეთ, რომ დღეს ლევან დადიანთან ხართ სტუმრად, ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მომლხენი მეგრელი მთავარი, მან ააშენა ეს შესანიშნავი, მეთვრამეტე საუკუნის გემოვნებიანი, ნატიფი ევროპული სასახლე, როგორც საზაფხულო რეზიდენცია. იგი ამჯერად საპატრიარქო რეზიდენციაა და მას ჩვენი უწმინდესი სტუმრობს ხოლმე. ამ ეზოში ყოველი ხე უნიკალური ჯიშისაა, მეთვრამეტე საუკუნისაა ასევე სასახლის კარის ეკლესია, ლევანის დროს ჩამოიტანეს უნიკალური ჯიშის ხეები, მაშინ გაშენდა ბზების ხეივანი, აქ ოჯალეშია გაშენებული, აქვეა ღვინის მარანი... გისურვებთ პატარებო, ისევე გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, როგორც ახლა გიყვართ..." ლირიული გადახვევის პატივი თქვენს მონა-მორჩილს ხვდა წილად და რამდენიმე ლექსი წავიკითხე შეკრებილთა წინაშე. მადონა მასწავლებელმა "მუხა წონწილებს" კონცერტის ბოლო აკორდად შემოინახა და განაცხადა, მჯერა პატარებო, საქართველო _ თქვენი ფესვმაგარი მუხა კიდევ დიდხანს იშრიალებსო. საუკეთესო კონცერტისათვის ბავშვებს და პედაგოგებს მადლობა გადაუხადეს ტატა გოგუაძემ, მშობლის ამპლუაში მყოფმა დაწყებითების პედაგოგმა თამარ ხვიჩიამ და პედაგოგმა ირინე ქორიძემ. იმ დღეს ძალიან გაუმართლათ "ალილოს" წევრებს, დებ აბრამიშვილებს, რომლებიც მამათა მონასტრის სიახლოვეს



მწერალ დათო ტურაშვილს შეხვდნენ და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს. იმ დროს, როცა მათი ვიცესპიკერი მამა კონსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობდა, ვაჩე და ელენე ანსამბლის წევრ ბიძაშვილებთან ერთად სალხინოს ულამაზეს ეზოში სეირნობდნენ. მორიგი გაჩერება მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია. მის სიახლოვეს ვაჩეს ვეკითხები, რომელი საგანი უყვარს ყველაზე მეტად _ რელიგია! მპასუხობს ის. მისი ეს პასუხი იქვე მდგომ ერთ-ერთ სასულიერო პირსაც მოსწონს, რომელიც დაინტერესდა, რომელი ქალაქიდან ვიყავით სტუმრად.. ვაჩე და ელენე კერძო სკოლა "შავნაბადას" მოსწავლეები არიან და ზაფხულს სამტრედიაში ატარებენ. ლამაზი დღე მიილია, ჩამავალი მზის სხივი ჩაეწნა ტაძრის გალავანს, ქართული სიმღერაც ხომ "ციხე-ტაძართა საგალობელია"...

# დოკუმენტური ფილმი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში აჩვენეს

ნათია ნაცვლიშვილი

***თანამედროვეობის პრობლემებსა და პასუხგაუცემელ კითხვებზე როგორც ახალგაზრდების, ისე ძველი თაობის წარმომადგენელთა ყურადღების ფოკუსირება ამჯერადაც მოხდა. პუბლიკა საათისა და ოცი წუთის განმავლობაში ინტერესით უყურებდა ვახტანგ-კუნცევ გაბაშვილის დოკუმენტურ ფილმს "life is be". ჩვენების ადგილად მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა (დირექტორი ლამარა დუნდუა) შეარჩია ფესტივალის რეგიონალურმა კოორდინატორმა, მეორე კურსის სტუდენტმა ქეთევან აბრამიშვილმა. საფესტივალო ფილმების ჩვენება მიმდინარეობდა კინოს სახლში, კინოთეატრებში "ამირანსა და "რუსთაველში".***

ჩვენების დაწყებამდე მან აუდიტორიას ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა: "საქართველოში დოკუმენტური ფილმების ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება, ერთი კვირის განმავლობაში ათეულობით ფილმი იქნა ნაჩვენები. ჩვენ,





კოორდინატორებს უცხოელმა სპეციალისტებმა ჩაგვიტარეს ტრენინგები, დღეს ვაჩვენებთ ამ ფესტივალზე წარმოდგენილ ერთ-ერთ ფილმს " life is be," რომელიც დღევანდელ ყოფას ასახავს. ის ერთ-ერთ ნომინაციაში გამარჯვებული ფილმია, მის რეჟისორთან გასაუბრების საშუალება ფესტივალზე მოგვეცა. თუკი თქვენი დაინტერესება იქნება, შემიძლია, ყველა კითხვას ვუპასუხო"...

რეჟისორის კამერამ 5 მთავარი გმირის სამყოფელში შეიხედა და თითოეული მათგანის ისტორია მოგვითხრო. ხუთივე გმირი კახეთის ულამაზეს ქალაქ თელავში მკვიდრობს, ერთმანეთის მეზობლები არიან. ერთ-ერთი მათგანი გერმანელია, სათნოების სახლში პიანინოზე უკრავს. იგი ყოფილი მეხანძრეა, გადაურჩენია წინანდლის სახლ-მუზეუმი,



მეორე გმირიც გერმანელია, რომელსაც 20 წელია, რაც შეუწყვიტეს ელექტროენერგიის მიწოდება, მან გამოიგონა ღუმელი, რომელიც დენს გამოიმუშავებს, ამ მოხუცის საცხოვრებელი ღია, ფარდალალა შენობაა, სადაც კატები, ქათმები, ვირთხები და ძაღლები თანაცხოვრობენ. სიკეთე ამ კეთილი კაცის საცხოვრისის არეალში ახლოს ბინადრობს _ მოხუცი თანასოფლელებს ახსოვთ, გაყინულ და ანგრეულ-დანგრეულ სახლში, მას 75 წლის აღსანიშნავად, მეზობლები ტორტითა და საჩუქრებით სტუმრობენ. მესამე პერსონაჟი 80 წლის, ყოფილი კავშირგაბმულობის დირექტორია, რომელიც ბზარებგაჩენილ, ნახევრად დანგრეულ, სასიცოცხლოდ საშიშ სახლში ცხოვრობს, ეს სახლი ისტორიული ძეგლია, რომელსაც სახელმწიფო იცავს, მაგრამ მაინც დაუცველია! _ არ მეგონა, ასეთი სიბერე თუ მექნებოდა! არაერთხელ იტყვის ფილმის ეს პერსონაჟი. ყოფილი ინჟინერი და წარსულში თელავის უნივერსიტეტის ლექტორი, ფილმის მეოთხე პერსონაჟია. ის დროს წიგნებთან ურთიერთობაში კლავს. მაგიდაზე გადაშლილ წიგნებში ფორმულების ისეთივე ქაოსია, როგორიც მის სულში_ მწარე ფიქრების. "ამ უაზრო ცხოვრებისგან დავიღალე, 200 ლარს არ ვიმსახურებ თვეში?" _ კითხულობს ფილმის გმირი. ამ კაცის მძიმე დღეების მეგზური როკ-მუსიკაცაა. მეხუთე პერსონაჟი წარმატებული ფერმერია, ბიზნესმენი, რომელსაც დამხმარე ძალა სჭირდება, მუშახელს ეძებს, მაგრამ საკალმახე და სატბორე მეურნეობაში მუშაობა არავის უნდა. ეს ბატონი თავის ფერმაში გახსნილ მინი სალოცავში უკეთესი მომავლისათვის ლოცულობს. ფილმის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს ქეთევან აბრამიშვილს საინტერესო და დამაფიქრებელი ფილმის ჩვენების გამო. თავისი მოსაზრება მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მიხეილ ლეჟავამაც გამოთქვა და განაცხადა: "კარგი იქნება, თუ მუშაობის სურვილის გაღვივებაში და ამ ცუდი მენტალიტეტის, უსაქმურობის აღმოფხვრაში დაეხმარება ადამიანებს ეს ფილმი".

# „თუ რამ სიმღერის გულის უმღერით"...

**ნათია ნაცვლიშვილი**

" ორუდილა" უკვე ორი ათეულ წელზე მეტია, სამტრედიის კულტურულ ისტორიას სხვა ანსამბლებთან ერთად ქმნის. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ტატა გოგუაძე) ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფი "ორუდილა", რომელსაც კომპოზიტორი ნონა ჭახნაკია ხელმძღვანელობს, საზაფხულო პროექტის მეორე კონცერტით წარსდგა მსმენელის წინაშე. სცენაზე ბევრი პატარა მონაწილე გამოვიდა. შესანიშნავად მორთულმა კულტურის ცენტრის სცენამ პატარების დიდი მუსიკალური ემოციები დაიტია. ბავშვებმა პროფესიონალურად შეასრულეს როგორც ქართული, ისე რუსული და ინგლისურენოვანი სიმღერები. ანსამბლი არაერთი ფესტივალის გამარჯვებული და ჯილდოს მფლობელია, ამიტომ "ორუდილას" კონცერტის მიმართ მოლოდინი ყოველთვის დიდია. ჯერ "ორუდილელებმა" მათი ჰიმნიააჟღერეს, მერე, ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, მრავლად შესრულდა მაესტრო ნონა ჭახნაკიას ნაწარმოებებიც. ასაკის სიმცირის მიუხედავად პატარები სცენაზე თავდაჯერებულნი იდგნენ და მაყურებელს ლამაზი ჰანგებით უტკბობდნენ სმენას. სამშობლოს მინდორ-ველი დელა-დელიათი მოიმღერეს, ჭიამაიებსაც უმღერეს, თოჯინებსაც, ბურატინოსაც, ფერად ქალაქსაც, მეგობრის უბეში სითბო და ნუგეშიც ეძიეს... ბრწყინვალე იყო საბა ქავთარაძე თამარ გვერდწითელის გაუხუნარი სიმღერით: "მრავალჟამიერ გუგუნებდეს ზმა"... სცენა დებიუტანტებსაც დაეთმო. დარბაზში არ წყდებოდა გულწრფელი აპლოდისმენტები. საღამო ანსამბლის უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ანანო გალდავას და ქრისტინე კერელეიშვილს, მიჰყავდათ. ისინი უფროსი თაობის წარმომადგენელ ანა თვაურთან ერთადაც ჩაერთვნენ კონცერტში და ჯგუფ "აბბას" ჰიტი შესანიშნავად შეასრულეს. თანამედროვე ცეკვების საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული შოუ-ბალეტი ფანტაზია (ქორეოგრაფი ქრისტინე ზაქრაძე) ინდური ცეკვით წარსდგა პუბლიკის წინაშე და აპლოდისმენტები დაიმსახურა. ფინალურ აკორდად "ორუდილელებმა" საქართველოს კუთხეების სიმღერების პოპური ააჟღერეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უთაიგულოდ არ დარჩენილა არც ერთი სცენაზე გამომსვლელი, პატარა მომღერალ-მოცეკვავეებს თაყვანისმცემლები სცენაზე ასაჩუქრებდნენ ყვავილებით. დარბაზში ყვავილთცვენა იყო. კონცერტის ბოლოს სცენაზე ავიდა მაესტრო ნონა ჭახნაკია და მსმენელს მადლობა გადაუხადა. ასევე მადლობა უთხრა კონცერტის ყველა ორგანიზატორს და მონაწილეს, განსაკუთრებით ანსამბლის მხატვარ ნანა რუხაძეს, სამხატვრო ხელმძღვანელ ელიკო ანკვაბს და ქორეოგრაფ ნანა ბებიას. კონცერტის ბოლოს "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს და ანსამბლის დიდ გულშემატკივარს, ტატა გოგუაძეს: "ძალიან სანახაობრივი კონცერტი იყო, კარგი ნაკადია, "ორუდილა" გვანებივრებს ასეთი ლამაზი და კარგი კონცერტებით. პატარები ასე ცოცხლად მღერიან, მადლობა ჩვენს პედაგოგებს დაუღალავი შრომისთვის, მალე ბათუმში მიემგზავრებიან "ორუდილელები" საესტრადო სიმღერებისა და ცეკვების ფესტივალზე "ოქროს დელფინი". მჯერა, დიდ წარმატებებს იქაც მიაღწევენ!"





## ასე უყვართ საქართველოში




უყვართ თავდავიწყებით, წრფელი გულით. მეცხრე ცას სწვდება მათი ოცნებები.

''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველთათვის კარგად ნაცნობი ახალგაზრდა პოეტი, მომავალი სამართალმცოდნე ბექა ფოცხვერია წიგნის ავტორად მოგვევლინა.

''სიყვარულმა (მ) ათქმევინა'' ასე ჰქვია მომცრო წიგნს ორმოცამდე ლექსი რომ დაუტევია მხოლოდ. მათგან ოცდაათი გულისწორს უძღვნა ბექამ, დანარჩენი კი, დანარჩენი მშობლიურ სოფელს, სამტრედიას...

''...წაიკითხავენ ამ წიგნს და იტყვიან: აი, ასე ჰყვარებიათ საქართველოში'' ვკითხულობთ წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობაში.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში დაბეჭდილმა წიგნმა უკვე ჰპოვა გამოხმაურება სოციალურ ქსელში, ამჯერად კი ჩვენს მკითხველებს ვაუწყებთ ამ ლამაზი წიგნის დაბადებას, სადაც სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკის ავტორისეულ ნიმუშებს გაეცნობით.

რამდენიმე ლექსს ვბეჭდავთ წიგნიდან.

***

გზად ბევრი ძველი ნასახლარია,
ძველი ეზო და ძველი ორღობე.
მახსოვს, პირველად მზისფერსახიანს
ყოჩაღივით რომ გადაგიღობე
გზები, რომ მხოლოდ ჩემსკენ გეარა,
სივრცე, რომ მხოლოდ მე დაგენახე.

**მინდა გიყვარდე**

მინდა გიყვარდე ყოველგვარი ბანალურობით,
რომ ყოველ ღამით მთვარეზეც კი იეჭვიანო.
ყველა კითხვაზე მპასუხობდე ხოლმე სიჩუმით
მსაყვედურობდე თუკი მოსვლა დავაგვიანო.
მინდა გიყვარდე ყოველგვარი ახსნის გარეშე,
გჯეროდეს ღმერთის, დამინახავ მხიარულს როცა,
თუკი მიწამებ, უჩემობა ვერ შეგაშინებს,
(რადგან ბავშვი ვარ, გამაცინე, ვირბინოთ თუნდაც).
როცა საუბარს წამოვიწყებ ჩვენზე, წვიმაზე,
ცოტა გაწითლდი, დაიმორცხვე, არ გამიღიმო,
რომ მე დავიბნე, ველარ გითხრა, რატომ გიწამე
და ასე ჩემი ახალ ლექსად წარმოგიდგინო.
რომ არ მიყვარხარ, თვალებშივე ამოიკითხე,
რომ პოეტებმა გალმერთება ვიცით მხოლოდენ,
კარგი სტროფივით რამდენჯერმე გადამიკითხე,
და ჩემში შენი არსებობა ლექსად მჯეროდეს.
თუკი მიწამებ, უჩემობა ვერ შეგაშეინებს,
(რადგან ბავშვი ვარ, გამაცინე, ვირბინოთ თუნდაც.)
მინდა გიყვარდე ყოველგვარი ახსნის გარეშე,
გჯეროდეს ღმერთის, დამინახავ მხიარულს როცა.

***

უშენოდ ფასი არ ექნება არც ამ გვირილებს
და დღეც შენივე არსებობამ გაალამაზა.
გწამდეს, არასდროს არავისთან გაგაიგივებ,
რადგან ვერავინ გამიღიმებს შენზე ლამაზად.
წარმატებები ბექას!

**ლევან გაბეჩავა**

გალერეა

## ციფრების კორიანტელში გასული საუკუნის ნახევარი

**ლევან გაბეჩავა**

ტკბილ-მწარე მოგონებებს შემორჩა მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში გატარებული წლები და არცთუ განებივრებული ბავშვობა.

არ ფერმკრთალდება დღეს უკვე ჭარმაგი კაცის ხსოვნაში ლადო კახიანისა და ემელიანე რუხაძის სახელ-



ები, ბუღალტერიის ანბანს რომ აზიარეს ახალგაზრდა სპეციალისტი.

80 წელი შეუსრულდა ამ დღეებში სამტრედიელ ინტელიგენტთა ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, ბატონ ნოდარ ფესვიანიძეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს კონტროლიორ-რევიზორი სამტრედიის რაიონში, სამტრედიის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილე, სახელმწიფო შემოსავლების ინსპექციის უფროსი, საგეგმო კომისიის უფროსი ეკონომისტი, უფროსი ეკონომისტი აგროსამრეწველო გაერთიანებაში...

ვინც თვალს გადაავლებს არასრულ ჩამონათვალს პასუხსაგები თანამდებობებისას, წლების მანძილზე რომ ეკავა ბატონ ნოდარს, ადვილად მიხვდება, რაოდენ ღირსეულ კაცზე ვწერთ.

ციფრებთან ჭიდილში, ციფრების კორიანტელში გაილია ნახევარსაუკუნოვანი გზა ძიებისა, შრომისა, წარმატებებისა.

დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება ამჯერად ბატონი ნოდარი, მეუღლესთან ერთად ხარობს შვილებითა და შვილიშვილებით.

აღსანიშნავია, რომ ფესვიანიძეების ოჯახმა საკუთარი შვილივით აღზარდეს უდედმამო გოგონა ნინო ლაითაძე. ღვიძლი შვილივითა და შვილიშვილებივით უყვართ ნინო და მისი შვილები ამ ოჯახს.

წიგნის, სწავლისა და ცოდნის შეძენისადმი ლტოლვა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა ფესვიანიძეების ოჯახში და ტრადიციაც ჩინებულად გრძელდება.

ბატონი ნოდარის შვილიშვილმა, ნოდარ ფესვიანიძემ წარმატებით დაამთავრა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინრის აკადემიური ხარისხი, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით.



ვიმედოვნებთ, იგი ღირსეულ სიტყვას იტყვის საქართველოსთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა დარგის განვითარება-აღორძინების საქმეში.

გულწრფელად ვულოცავთ 80 წლის იუბილეს ბატონ ნოდარს, წელთა სიმრავლეს, მშვიდ, ბედნიერ ხანდაზმულობის წლებს ვუსურვებთ მას მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად.



"ვისაც ლიტერატურა უყვარს"

# წიგნს თავისი რომანტიკა აქვს

ნათია ნაცვლიშვილი

***ახალგაზრდა მათემატიკოსი გოჩა გაბუნია რესპონდენტად მისივე კოლეგების დახასიათებით მოვიწვიეთ. როგორც პირველ საჯარო სკოლაში გვითხრეს, ძალიან კარგ წიგნებს ხედავენ მის ხელში. მას მეშვიდე საჯარო სკოლა აქვს დამთავრებული, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ინტელექტუალთა სამჭედლოდ. ამჯერად გოჩა პირველ საჯარო სკოლაში მათემატიკას ასწავლის, პარალელურად არის კომაროვის სკოლის მიერ დაარსებული "შაბათის სკოლის" პედაგოგიც. ქართული განათლების სფეროში რომ საქმე კარგად არ არის, 11 ათასი ჩაჭრილი აბიტურიენტიც ცხადყოფს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდების წიგნთან დაშორებაც არის. გარკვეულწილად, უწიგნურობის უფსკრულის ამოვსებას ისახავს მიზნად ახალგაზრდა პედაგოგის ინიციატივა, მოსწავლეები სასკოლო ინტელექტუალურ თამაშებში ჩააბას. "მივესალმები გოჩას აქტიურობას ახალგაზრდებში ინტელექტუალური თამაშების პოპულარიზაციის მიზნით, ნამდვილად კარგ საქმეს აკეთებს, სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრები შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად დავეხმარებით მას ამ კარგ წამოწყებაში. მოვუწოდებ სხვა სკოლებს, მიბაძონ გოჩას და მათაც ჩაატარონ ინტელექტუალური თამაშები." ასე შეაფასა სამტრედიის ინტელექტკლუბის ლიდერმა გიორგი ჩაჩუამ გოჩა გაბუნიას წამოწყება. რატომ უნდა ვიკითხოთ, ამის თაობაზე ნიჭიერი პედაგოგი მოსწავლეებს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მიმართავს...***

---

**_ სკოლაში მამაკაცების დეფიციტია, თქვენ რას ფიქრობთ, რას მატებს კაცის ფაქტორი სკოლას? არის პოზიტივის მომტანი კაცი მასწავლებელი სკოლისათვის?**

_ მამაკაცის ნაკლებობა ჯერ იმან გამოიწვია, რომ ტრადიციულად კაცი იყო ქართულ ოჯახში მთავარი შემომტანი ყოველთვის. როცა ხელფასი შემცირდა, ოჯახის რჩენა და ამ პასუხისმგებლობის აღება მან ვერ შეძლო, ამან გამოიწვია ის, რომ სკოლიდან გაიდევნა მამაკაცი მასწავლებელი. რას მატებს? კლასში მოგეხსენებათ, როგორც გოგონაა, ისე ბიჭია, ბიჭმა უნდა მიბაძოს პედაგოგს, რომელიც მისთვის ავტორიტეტია. ქალბატონი ბიჭსაც და გოგოსაც ერთ ენაზე ვერ დაელაპარაკება, მამაკაცი შეიძლება ბიჭს დაელაპარაკოს, როგორც ტოლსა და სწორს, ამან მოიტანოს დადებითი ეფექტი, მოსწავლე უფრო მეტად შეიძლება დაფიქრდეს მის არასწორ საქციელზე და მის გამოსწორებაზე. ნებისმიერი მასწავლებელი, უფროსი არის მისაბაძი და მივესალმები, თუ მეტი კაცი მასწავლებელი იქნება სკოლაში.

**_ რას საქმიანობდით ამ სკოლაში მოსვლამდე?**

_ კერძოდ ვრეპეტიტორობდი, თსუ-ს მაგისტრის ხარისხი მაქვს, სკოლაში უწყვეტად არ ვყოფილვარ. მას შემდეგ, რაც დავამთავრე მაგისტრატურის კურსი, ჯერ სტაჟის გამო მაძიებელ მასწავლებლად დავრეგისტრირდი, როცა ავიღე სტაჟი, მერე გამოცდაზე გავედი და მოვიპოვე მასწავლებლობის უფლება, მუშაობა დავიწყე სკოლა "ცოდნაში", მერე გამოჩნდა ვაკანსია და 2016 წელს პირველ საჯაროში მოვედი. შაბათის სკოლა დააფუძნა კომაროვის სკოლამ თავის ფილიალად სამტრედიაში. ასევეა თელავში, ჭიათურასა და ბათუმში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წლიურად 9 მოდულისთვის 360 ლარია გადასახადი. ადგილზე ორჯერ მეტი ღირს, მაგრამ ითვალისწინებენ იმას, არ დაიკარგონ პერიფერიაში უსახსრობის გამო ნიჭიერი ბავშვები. ბატონი მალხაზ ჯინჭარაძის დამსახურება და მონდომება იყო, სამტრედიაში ყოფილიყო "შაბათის სკოლა". ამ სკოლაში ოთხი პედაგოგი ვართ: ნონა ჯინჭარაძე, ნანა კუკანია, მერაბ კეკელიძე და თქვენი მონა-მორჩილი. კომაროვის სკოლა დებს რომელიმე სკოლასთან ხელშეკრულებას, რომ შაბათობით ერთ მეცადინეობას ეს სკოლა უზრუნველყოფს 3 საათის განმავლობაში. არასასკოლო მათემატიკას ვასწავლით, აქცენტი არასტანდარტულ, ლოგიკურ ამოცანებზე გადაგვაქვს, წიგნი, რომლითაც ვასწავლით, ხანგრძლივი გამოცდილების შედეგადაა შექმნილი, ეს სკოლა რეგიონებს ეხმარება, არ დაიჩაგრონ ჭკვიანი ბავშვები. კომაროვის სკოლას კარგ ბავშვებს ვაწვდით, ამიტომაც სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, სხვა ქალაქებშიც დაეფუძნებინათ "შაბათის სკოლები". შარშან და შარშანწინ ჩვენი ბავშვები ჩაირიცხნენ ამ სკოლაში. გვაქვს ზრდის პერსპექტივა, ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენი გაზეთის საშუალებით ამას გაიგებენ ფართო მასები. თავიდან პირველ საჯაროში ვიყავით, დაახლოებით ექვსწლიანი წარსული აქვს სკოლას. 2016-2017 წლის სეზონი მეთერთმეტე საჯარო სკოლაში დავიწყეთ.

**_ ასეთი რთული სამუშაო გრაფიკის მქონე პედაგოგი ახერხებთ წიგნთან ურთიერთობას?**

_ ბოლო თვეებია, მართლა არ წამიკითხავს წიგნი, მაგრამ თავისუფალ დროს ვეცნობი მსოფლიო და ქართულ ლიტერატურას.

**_ მათემატიკური წიგნების პარალელურად მხატვრულ ლიტერატურასაც ეცნობით?**

_ წიგნთან ურთიერთობის დრო რომ შემიმცირდა, თითქოს გამოშრა ორგანიზმი ამ ტექნიკური საგნებისაგან, თითქოს ძალიან ხმელი გახდა, როგორც ორგანიზმს მოუნდება წყალი და საკვები, ისე მოუნდა წიგნის კითხვა. ჩემი საყვარელი ნაწარმოებია ვიქტორ ჰიუგოს "საბრალონი", ერთი კაცის ცხოვრება როგორ ხასიათდება თავგანწირვით, ტრაგიზმით, უამრავი ბოროტების ფონზე ის არ ღალატობს თავის კეთილშობილებას, ყველა უბედურება ერთი პურისთვის დაატყდა თავს, იმის გამო, რომ შიოდა. მეათე კლასში წავიკითხე ეს წიგნი, მერე აიკიძა მძივივით მის თავზე უბედურობები... ახლაც რომ წავიკითხო ეს წიგნი, ისეთივე ინტერესით წავიკითხავ, თან ძალიან საინტერესოდ, არამომაბეზრებლად არის აღწერილი იმდროინდელი საფრანგეთის ცხოვრება. არიან მწერლები, რომელთა ნაწარმოებები აქტუალური შეიძლება იყოს დროის მხოლოდ ერთ პერიოდში და შემდეგ აქტუალობა დაჰკარგოს. მაგალითად, ემილ ზოლას "ხაფანგში" გაჭირვებული ხალხის ცხოვრება მომაბეზრებლადაა აღწერილი, ოთხი-ხუთი თვე ვკითხულობდი, ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ღარიბი ბავშვი, რომელსაც არ აქვს სათამაშო და ეთამაშება ქარს...

ქართული ნაწარმოებებიდან დათა თუთაშხიას გამოვარჩევდი. ყველა სიტყვა ქართული რეალობისთვის გასათვალისწინებელ სიბრძნეს ასხივებს, მომეწონა პაულო კოელიოს "მაქთუბი", სადაც ამოკრებილია ხალხური სიბრძნე, ლეგენდები, მითები...

**_ წიგნის მაღაზიებს სტუმრობთ? მეგობრებს ან მოსწავლეებს წიგნებით ასაჩუქრებთ?**

_ რა თქმა უნდა. სკოლაში ჩემი ინიციატივით წამოვიწყეთ სასკოლო შეჯიბრი "რა? სად? როდის?". ჩავატარეთ სამი ტური, კითხვებს თავად ვწერ, ვცდილობ, ბავშვებში გავაღვიძო წიგნის სიყვარული, გამარჯვებულებს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებით ვასაჩუქრებთ. სასაჩუქრე წიგნების თანხა სკოლამ გამოჰყო.

**_ გაგიკეთებიათ არჩევანი პურსა და წიგნს შორის როდესმე? მშიერს დაგიძინიათ სტუდენტობისას?**

_ ღვთის წყალობით, მშიერი არასოდეს ვყოფილვარ და არ მომწევია არჩევანის წიგნსა და პურს შორის გაკეთება.

**_ ტექნიკური ბეგ-რაუნდის ადამიანები პოეზიას იშვიათად სწყალობენ...**

_ რომ არ მოგატყუოთ, ძალიან მიყვარს პოეზია, თავადაც ვწერ ლექსებს, ლექსი ჩემი გულის გამოძახილია, ეს არის ჩვეულებრივი კონვენციური ლექსი, ყველამ შეიძლება ვერ იგრძნოს ვერლიბრის დინამიკა, რაც ავტორმა მასში ჩადო, ჯობია, ასეთი ლექსი ავტორმავე წაიკითხოს.

**_ რომელი პოეტი მოგწონთ?**

_ მომწონს სადა, გაუპრანჭავი ლექსი, პოეტი რომ არ ცდილობს ზედმეტი სიტყვების კორიანტელი დააყენოს, ზოგიერთი პოეტი იყენებს სხვა პოეტების და მწერლების პერსონაჟებს... ნებისმიერი პოეტის შემოქმედებაში მოიძებნება ლექსი, შთაბეჭდილებას რომ დატოვებს. ძალიან მიყვარს შანდორ პეტეფის "მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ." ძალიან მიყვარს გალაკტიონი, თუმცა მასაც აქვს ჩვეულებრივი ლექსებიც და მარგალიტებიც. როგორც სახლში გვაქვს ოთახები შავი საქმეებისთვის და საუკეთესო ოთახებიც, ყველა ხომ არ არის მისაღები... ძალიან მომწონს "მესაფლავის" სიუჟეტი, ძალიან მომწონს "მერი", "უსიყვარულოდ"... ლექსის დამახსოვრება არ მახასიათებს, მაგრამ თუ პოეზიიდან რაიმე შეკითხვაა დასმული, იმწამსვე მახსენდება.

**_ დაგვემშვიდობეთ საყვარელი სენტენციით...**

_ ჩემს ფრაზას ვიტყვი: ისწავლეთ, შეიძლება დღეს გგონიათ არაა საჭირო, მაგრამ მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ.

**_ წიგნში იკითხონ თუ კომპიუტერში?**

_ მიმაჩნია, წიგნში წაკითხული უკეთესია ჯანმრთელობისთვის, თვალისთვის, მეორეც, წიგნს აქვს თავისი აურა, ხიბლი, შეიძლება პლანშეტიც დაიჭირო ხელში ისე მოხერხებულად, როგორც წიგნი, მაგრამ წიგნს თავისი რომანტიკა აქვს...

**_ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?**

_ საკმაოდ, თანდათან ვავსებ ჩემი წიგნების თაროებს...

---

# ძვირფასო სამტრედიელებო!

**სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის შემდგომი განვითარება დიდადაა დამოკიდებული თითოეული თქვენგანის მხარდაჭერაზე.**

**გთხოვთ, ეწვიოთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, გაეცნოთ ჩვენი ქალაქისა და რაიონის ისტორიას და შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოთ დახმარება ახლად დაარსებულ მუზეუმს.**

**თქვენს მიერ გაღებული შემოწირულობა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ან შეიტანოთ შემდეგ მისამართზე: *ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეც ანგარიში: საქართველოს "ლიბერთი ბანკის" სამტრედიის ფილიალი ანგ. N744607499, მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის.***

# "დეპეშიდან" "სამტრედიის მაცნემდე" რადიოს პირველი ადგილობრივი მაუწყებლობა

1910-იან წლებში სამტრედიაში ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა ბიულეტენი "დეპეშები". "დეპეშების" რედაქტორ-გამომცემელი ბ. ფარცვანია იყო და ვ. ხარებავასა და ს. ნიკურაძის სტამბაში იბეჭდებოდა.

1920 წლის ზაფხულიდან სამტრედიაში იწყებენ 16 გვერდიანი იუმორისტული ჟურნალის, "სამტრედიის შოლტის", გამოცემას. ჟურნალი ქუთაისში ნ. ფერაძისა და ამხანაგობის სტამბაში იბეჭდებოდა და მესამე ნომრიდან "შოლტის" სახელწოდებით გამოდიოდა. სხვათა შორის, "შოლტის" სახელწოდებით მ. ლელაშვილიც უშვებდა იუმორისტულ ალმანახს თბილისში.

1970 წლის მონაცემებით "სამტრედიის შოლტის" პირველი ორი ნომერი თბილისის რევოლუციის მუზეუმში ინახებოდა, ხოლო მესამე ნომერი ("შოლტი") _ ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

1930 წლის 5 ნოემბრიდან სამტრედიაში გაზეთ "სოციალისტურ შეტევას" უშვებენ. "სოციალისტური შეტევა" სამტრედიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, პროფსაბჭოს, ამიერკავკასიის რკინიგზის ერთობლივ გაზეთს წარმოადგენდა. "სოციალისტური შეტევის" გამოცემის პერიოდულობა და რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. ცნობილია, რომ 1931 წელს 15 ნომერი გამოიცა. "სოციალისტური შეტევის" გარდა 1932-1935 წლებში სამტრედიაში ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი საექსპლუატაციო რაიონის ყოველკვირეული გაზეთი "დამკვრელი რკინიგზელი" გამოდიოდა (ტირაჟი 3000 ცალი). "დამკვრელი რკინიგზელი" სულ 248 ნომერია გამოსული.

1933-1934 წ.წ. გამოდიოდა სამტრედიის მანქანა-ტრაქტორების სადგურის (მტს) პოლიტგანყოფილების გაზეთი "კოლმეურნის ბრძოლა". გაზეთს ლავროსი კალანდაძე რედაქტორობდა.


„იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“

ცისფერ ეკრანზეა სამტრედიის რაიონი

სამტრედია საქართველოს ქალაქებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა. აქ 1870 წელს გაჩნდა პირველი დასახლება, საცხოვრებელი სახლები, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოები. დაბა სამტრედიამ სწრაფად იწყო განვითარება. ახლა იგი ქალაქი და რაიონული ცენტრია. სამტრედიის რაიონის მშრომელები, რომლებმაც გასული წლის ოქტომბერში იზეიმეს თავიანთი ქალაქის დაარსების 100 წლისთავი, ღირსეულ შრომით საჩუქრებს უმზადებენ ჩვენი პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

მორიგ გადაცემაში ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ გაეცნობით სამტრედიის რაიონის მშრომელთა მიღწევებსა და წარმატებებს. გადაცემას ტელევიზიით ნახავთ 31 იანვარს, 19 საათსა და 5 წუთზე.

გადაცემის ავტორები არიან თ. ხომერიკი და გ. უშვერიძე, რეჟისორ-ოპერატორი — გ. ჩიგოგიძე.



აღსანიშნავია, რომ "კოლმეურნის ბრძოლის" ფურცლებზე სამტრედიის ცენტრის უბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ოლღა ჯოგლიძემ, იმის გამო, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა რომანში, "კვაჭი კვაჭანტირაძე," მთავარი პერსონაჟი სამტრედიის მკვიდრად გამოიყვანა, პოლემიკა გაუმართა მწერალს. "თქვენი "კვაჭი" სამტრედიელია, ახლა სამტრედიაში, ჩვენს კოლმეურნეობაში კვაჭები აღარ იზრდებიან, ძველები გადაშენდნენ. იქნებ ძნელად და ტკივილებით, მაგრამ ახალი მშრომელი ადამიანები მაინც იბადებიან. ისინი მომავალს შეჰხარიან და ამიტომ ნათელი ფერები იტაცებთ. კარგი იქნებოდა, რომ ეს ახალი ადამიანები უთვალავჯერ უფრო ძლიერი მხატვრული შთაგონების საგანს წარმოადგენენ, ვიდრე რომელიმე ძველებური კვაჭები". _ წერდა ოლღა ჯოგლიძე მიხეილ ჯავახიშვილს.

მიხეილ ჯავახიშვილმა ოლღა ჯოგლიძეს უპასუხა და პასუხიც "კოლმეურნის ბრძოლაში" დაიბეჭდა. მიხეილ ჯავახიშვილი თავის წერილს ასე ამთავრებდა: "კვაჭების დევნა მეც მომბეზრდა, მაგრამ ამ უდიდეს და უძნელეს პრობლემას მწერალი ვერ გაექცევა. რა სჯობია ჩრდილი თუ შუქი? ურთმანეთოდ ხელოვნებაში არც ერთი არ არსებობს. მე მაინც გეთანხმებით, რომ ღია ფერი მუქს უნდა სჭირდებოდეს. ჯანსაღი ოპტიმიზმი მოგვწყურდა და საბჭოთა მწერლობაც გადაჭრით დაადგა ამ გზას, არც მე ჩამოვრჩები, "არსენა მარაბდელი" ამ გეგმის დასაწყისია".


1972 წელი. გამოვიდა გაზეთ "წინსვლის" მე-5000 ნომერი. საზეიმო სხდომა. რ. ბუკიას ფოტოალბომიდან კოხრეიძის ბლოგი

1952 წლიდან გაზეთ "სოციალისტურ შეტევას" სახელწოდება შეუცვალეს და "წინსვლა" უწოდეს.

1970 წლის 20 ნოემბერს "სოციალისტური შეტევის", იმავე "წინსვლის" პირველი ნომრის გამოსვლიდან 40 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა. საზეიმო სხდომა გახსნა სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ. მოხსენებით, "წინსვლა" 40 წლის მანძილზე" გამოვიდა გაზეთის რედაქტორი ვ. ნიკოლეიშვილი. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ გაზეთის ვეტერანი თანამშრომელი და მკითხველის ს. კიკაჩეიშვილი, ბაშის კლუბის გამგე, პოეტი ს. კაშმაძე, სამტრედიის რკინიგზის სამედიცინო გაერთიანების მთავარი ექიმი მ. ნამიჩეიშვილი, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ნ. გელეიშვილი, მემანქანე კ. მეგენეიშვილი, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი პ. მიქაძე, დაფნის კომბინატის თანამშრომელი რ. კალაძე, დრამატურგი ა. დევიძე, გაზეთ "ქუთაისის" რედაქტორი გ. მეფისაშვილი, ლანჩხუთის გაზეთის თანამშრომელი ა. წილოსანი, ვანის გაზეთის თანამშრომელი ა. ძიგრაშვილი, მაიაკოვსკის (ბაღდათის) გაზეთის რედაქტორი ვ. კიკნაძე, "ნორჩი ჟურნალისტი" თ. ქორიძე. პოეტმა ალექსანდრე შანიძემ გაზეთისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა:

"წინსვლა" წინსვლის მეგობარი,  
ცოდნის, სიბრძნის მაცნე,  
ხალხში თესავს ქართულ სიტყვას,  
მარგალიტის მარცვლებს.  
ყველგან დაჰქრის მერცხლის ფრთებით,  
გულის კარებს აღებს,  
ხან მგალობელ ბულბულივით  
მამულიშვილს ალხენს.  
ამომავალ ცისკარივით  
შუქმფინარი ყოვლად,  
სამზეოზე ამეტყველებს  
ხალხთა სიბრძნის დოვლათს.  
"წინსვლა" ხალხის მეგობარი,  
ცოდნის, სიბრძნის მაცნე,  
მოფრინდება, კაცს მომავლის  
ახალ ფიქრებს აძლევს.

"წინსვლის" რედაქციას მისალოცი ბარათები გაუგზავნეს: საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთ "კომუნისტის" რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა, "ზარია ვოსტოკას" რედაქციამ, "სოფლის ცხოვრების" რედაქციამ, ჟურნალ "საქართველოს ქალის" რედაქტორმა მარიკა ბარათაშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დუგლა ნიკურაძემ, აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, პოეტმა კარლო კალაძემ, პოეტმა ანდრო თევზაძემ, პროფესორმა ტრიფონ ხუნდაძემ, მწერალმა დემნა შენგელაიამ, მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ და სხვებმა. მისალოცი ბარათები "წინსვლის" ლიტმუშაკმა ზ. ებრალიძემ გააცნო საზოგადოებას. სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პ. გაგუამ რედაქციისა და სტამბის თანამშრომლების საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება წაიკითხა.

1970 წლის მონაცემებით "წინსვლა" "საქპოლიგრაფმრეწვის" სამტრედიის სტამბაში იბეჭდებოდა (დირექტორი სერგო შენგელია). სამტრედიის სტამბის თანამშრომლები იყვნენ: რაჟდენ ხაბეიშვილი, სილოვან ზამთარაძე, ბიჭიკო მახარაძე, ჯონი თარგამაძე, ბუკულა შენგელია, ლუიზა დუნდუა, ქეთო ქანთარია, მაგული თავაძე, ლუბა დავითაია, ლილი ზახაროვა, ქეთო სტურუა, ჯემალ კვანტალიანი, ოთარ თევზაძე, ფოთოლა მელქაძე, ზანი კუდაკოვა, ნელი ლეკვეიშვილი, მადონა კოხრეიძე, ნანი ნაცვლიშვილი, ჯანიკო ბიბილეიშვილი, ნუნუ ნიკურაძე, გრიგოლ კოპალეიშვილი.

1972 წლის 18 მაისს გაზეთ "წინსვლის" მე-5000 საიუბილეო ნომერი გამოვიდა. ამასთან დაკავშირებით, კულტურის სახლში საზეიმო სხდომა გაიმართა. სხდომა გახსნა სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ. შემდეგ სიტყვით რაიკომის მდივანი თალიკო მიქაძე გამოვიდა.

გაზეთის რედაქტორმა ვ. ნიკოლეიშვილმა ძირითადი მოხსენება წაიკითხა და ამის შემდეგ ტრიბუნაზე გ. ღვინიანიძე, ნ. გელეიშვილი, გ. იარალოვი და პ. მიქაძე გამოვიდნენ.

სამტრედიის საზოგადოებას და "წინსვლის" კოლექტივს მიულოცეს "კუტაისკაია პრავდას" რედაქტორმა მ. ნინუამ, ჩოხატაურის "კომუნიზმის განთიადის" რედაქტორმა გ. სიხარულიძემ, ვანის "განთიადის" რედაქტორმა შ. ბაღდავაძემ, წულუკიძის (ხონის) "კომუნიზმის გზით" რედაქტორმა გ. მუშკუდიანმა, გაზეთ "კომუნისტის" ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა ა. ჩიქოვანმა და სხვებმა.

სამტრედიის რაიკომის ბიუროს დადგენილებით რაიკომის საპატიო წიგნში სტამბის უხუცესი თანამშრომლის, რაჟდენ ხაბეიშვილის, სახელი შეიტანეს.

რაიონულმა კომიტეტმა რედაქციისა და სტამბის სხვა თანამშრომლები საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

პოეტმა ზოია ვაშაკიძემ "წინსვლას" ლექსი მიუძღვნა:

გადატყდა ღამე თეთრად ნათევი,  
ლაჟვარდს იფენს ყანაცა და მდელოცა,  
მოველ შენთან, გულით ფიქრის დამტევით,  
რომ შენს პწკარში შენს წინსვლაზე მელოცა.  
ხარ მშრომელის სათაყვანო გაზეთი,  
ნედლს სტრიქონებს ფოთლებივით არიგებ,  
ღიმილით და აზრთა საკისკასეთი  
ხვდები ყველა მნიშვნელოვან თარიღებს.  
სიტყვის შუქით კაცს უმთელებ იარებს,  
ცხელი კოცნით ჩაგიმუქდა ტუჩები,  
შენს ფურცლებზე ხან სიმინდი შრიალებს,  
ხან ყელყელობს ჩაის მწვანე ბუჩქები.  
ისმის ჰიმნი შრომის და თავდადების,  
ვეღარ იტან ზარმაცსა და უქნარას,  
მშრომელს კეთილ, ლამაზ ღიმილს სთავაზობ,  
შემრცხვენელს კი წკეპლასა და მუქარას.  
ქარია თუ ფურცლის შარიშურია, _  
მეფინება ნედლი შრიფტის სურნელი,  
შენი კოცნა, გულში ჩაკვრა მწყურია,  
ვარ ყოველთვის შენი წინსვლის მსურველი.

1960-იანი წლების მეორე ნახევარში სამტრედიაში საქართველოს ტელევიზიის საკორესპონდენტო პუნქტი გაიხსნა და მას გოდერძი უშვერიძე ხელმძღვანელობდა. 1969 წლის იანვარში საქართველოს რადიოს სამტრედიის ქსელში ადგილობრივი მაუწყებლობა ჩაერთო. სამტრედიელებს ახალი წლის დადგომა რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ კოხრეიძემ მიულოცა.

**მალხაზ კოხრეიძე**

# ხელმძღვანელობის ძველი და ახალი სტილი

ძალიან ხშირად გაიგონებთ ფრაზას, რომ ეს მუშაობის ძველი სტილია, ხოლო ახლა სულ სხვა გარემოში გვიხდება მუშაობა და ხელმძღვანელობის სტილიც სულ სხვაა.

რა თქმა უნდა, მუშაობისა და ხელმძღვანელობის სტილი ნამდვილად შეიცვალა, რამდენადაც შეიცვალა თვით საზოგადოებრივი ფორმაცია, ის, რაც იყო სიმბოლურად საბჭოთა პერიოდში სახალხო საკუთრება, ამჟამად გახდა ხალხის საკუთრება. აქედან გამომდინარე, ყველა შესაბამისი შედეგებით, სოციალისტური სისტემა შეიცვალა, საბაზრო ეკონომიკით (ესე იგი, კაპიტალისტური სისტემით). მაგრამ არის მთავარი, რაც არასოდეს შეიცვლება და არც უნდა შეიცვალოს. ეს არის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობა, კომპეტენტურობა, გამოცდილება, ავტორიტეტი. ყოველთვის იყო საქმის კურსში, პირადად აკონტროლებდეს ყველა საკითხს, რაც მის კომპეტენციაში შედის, ნორმალური ხელმძღვანელი ბუნებით ეგოისტია, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ვინაიდან ყოველთვის ცდილობს, მისი ხელმძღვანელობის პერიოდი უკეთესი იყოს მის წინამორბედზე.

ასეთი ხელმძღვანელის შერჩევა ხდებოდა საკმაოდ რთული ცხოვრებისეული გზის გავლის შედეგად. რაიონისა თუ ქალაქის ხელმძღვანელს უნდა ჰქონოდა შესაბამისი განათლება, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სამეურნეო მუშაობის გამოცდილება. უნდა ყოფილიყო ამ პოსტებზე წარმატებული და ავტორიტეტული. ასევე უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ხელმძღვანელთა სწავლების საკითხს. ერთობლიობაში ეს იძლეოდა იმის გარანტიას, რომ პიროვნება თავს გაართმევდა ხელმძღვანელის საპატიო მოვალეობას. შერჩევის ასეთი წესი კი აშკარად ნაკლებად შეიცავდა შეცდომების რისკს.

თანამედროვე პირობებში ეს ხდება არჩევნების ხარჯზე. ვინც არჩევნების პერიოდში გამოიჩინა თავი, ეცვა პარტიის ნომრიანი მაისური, ხელში ეკავა პარტიის დროშა, მხარს უჭერდა პარტიის პოლიტიკას. სამწუხაროდ კი არ გააჩნდა ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის არც ცოდნა, არც გამოცდილება. პრობლემა სწორედ აქედან იწყებოდა.

ახლა თვალი გადავავლოთ, როგორ ხდება მაღალი რანგის ხელმძღვანელთა შერჩევა, დანიშვნა ან არჩევა.

დასანიშნ პიროვნებას გააჩნია ძალიან მაღალი დონის უცხოური განათლება, უცხო ენების ცოდნა, ინტელექტი, ხელმძღვანელობისთვის კი საჭირო მცირე გამოცდილება, რაც ყოველივე ერთიანობაში, აშკარად არაა საკმარისი მაღალი რანგის ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად. ამის ნათელი დადასტურებაა ის ისტორია, რაც გვქონდა და გვაქვს დღესაც.

შეგნებულად არ მინდა შევეხო სააკაშვილის პერიოდში კადრების შერჩევის საკითხს, ვინაიდან მას არაფერი აქვს საერთო ლოგიკასთან. ვნახოთ, რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით დღევანდელ პერიოდში.

ქ. თბილისის მერი დავით ნარმანია აშკარად განათლებული პიროვნებაა, პატიოსანი, განათლების მაღალი დონით და ინტელექტით, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, იყო თბილისის მერი. მას არა აქვს სერიოზული სამეურნეო გამოცდილება, თბილისის მერიის უდიდესი აპარატის მართვის უნარი და ავტორიტეტი, მას უჭირს მედიასთან ურთიერთობა, რომელიც ზოგჯერ პროვოკაციულია მის მიმართ, მაგრამ ხელმძღვანელის ნიჭი სწორედ ისაა, რომ ყველას ანახოს, რომ ის შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, იყოს შემტევი ხასიათის, ერთი ასად გამოაჩინოს გაკეთებული, თუმცა გაკეთებული მას ნამდვილად ბევრი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, დათრგუნულად გამოიყურება.

თბილისელები კი სულ სხვა დონის ხელმძღვანელს არიან შეჩვეული.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურას, კონსტიტუციის პროექტის განხილვამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ უაღრესად განათლებული პიროვნებაა, უცხო ენების მცოდნე, ინტელექტუალური, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ აკლია ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობის გამოცდილება და ავტორიტეტი. განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა ეს, იმავე კონსტიტუციის განხილვის დროს, რომ ნაადრევი იყო მისთვის ასეთი მაღალი თანამდებობის დაკავება.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ნაადრევად დასკვნების გაკეთება არასწორია. მას აუცილებლად უნდა მიეცეს შანსი, თავად მიხვდეს თავის პრობლემებს და იზრუნოს მათ დაძლევაზე. ხელმძღვანელისათვის თმენის მოვალეობა აუცილებელია და მას გამომუშავება სჭირდება. საერთოდ კი პიროვნება თანამდებობაზე იზრდება, თუ მას ამის ნიჭი აქვს და სურვილიც გააჩნია.

რა შეიძლება ითქვას ქვეყნის პრეზიდენტის შესახებ. პირველი, რაც თვალში მოგხვდება აშკარა ლიბერალური ღირებულებების მიმდევარია, რაც ქართველი ხალხის ტრადიციებსა და რეალობას არ შეესაბამება. მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ გავრცელებული აზრისაგან, რომ პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იცავდეს იმ პარტიის ინტერესებს, ვინც მას რეკომენდაცია გაუწია, მაგრამ ასევე მიუღებელია, რომ პრეზიდენტმა პოლიტიკური ორიენტაცია ასე ადვილად, 180 გრადუსით შეიცვალოს. რა თქმა უნდა, ეს იმის შედეგია, რომ ის არ ყოფილა საკმაო დროით მაღალ საპასუხისმგებლო სამუშაოებზე, რომ ცნობილი გამხდარიყო მისი რეალური სახე. ესეც დროის ფაქტორის უკმარისობის შედეგი და ბიძინა ივანიშვილის შეცდომაა. მაგრამ, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ის ვერც წარმოიდგენდა ადამიანის ასეთ ტრანსფორმაციას. სამწუხაროდ, ასეთია პოლიტიკური ცხოვრების რეალობა.

განვიხილოთ ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა. ის ძალიან კარგი ახალგაზრდაა, განათლებული, ინიციატივიანი, მისი ასაკისათვის შესაფერისი ყველა დადებითი თვისებებით, მაგრამ აქაც ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იყო ქვეყნის ხელმძღვანელი, ეს სულ სხვა დონეა და ჩემი გადასახედიდან ნაადრევი იყო მისი ქვეყნის ხელმძღვანელად დანიშვნა. ეს ცხოვრებამაც დაადასტურა და გარკვეული დაღი დაასვა მის მომავალს. მე ასეთ შედარებას გავაკეთებდი. ეს იგივე იქნებოდა გამოცდილი მფრინავი, ყოველგვარი მომზადების გარეშე, კოსმონავტად გვეღიარებინა და კოსმოსში გაგვეშვა.

მკითხველს ალბათ დაებადება კითხვა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ მომენტისთვის ქვეყნის ხელმძღვანელი. არჩევნების შემდეგ ერთი პიროვნება, რომელსაც ყველა სხვა თვისებებთან ერთად ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი, ეს იყო ბიძინა ივანიშვილი. მართალია, მან ერთ წელში დატოვა თანამდებობა და ზოგიერთის აზრით, არასწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ თუ უფრო ღრმად დავაკვირდებით მის მოქმედებას, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, ვიდრე პრემიერის სავარძელში ჯდომა, რაც მისი ცხოვრების სტილი ნამდვილად არ იყო. ასევე პრემიერის თანამდებობიდან ძნელი იქნებოდა იმ პროექტების განხორციელება, რაც მას ჰქონდა გათვალისწინებული და რაც უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ამაში მოგვიანებით ბევრი ჩვენგანი დარწმუნდება, უბრალოდ, დროა საჭირო.

მინდა აღვნიშნო, რომ ივანიშვილს 90-იან წლებიდან ვიცნობ, როცა ის მოსკოვში "როსიისკი კრედიტის" დამფუძნებელი და მმართველი გახლდათ. შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ასეთი ობიექტური, შინაგანად მართალი, პატიოსანი, თავის საქმის უზადო მცოდნე, ავტორიტეტული, ამასთანავე უკომპრომისო და დაუნდობელი დამნაშავის მიმართ, მიზანმიმართული პიროვნება, რომელიც თავის მიზნის მისაღწევად ძალას, ენერგიას და სახსრებს არ დაზოგავს, იშვიათად შემხვედრია. სამწუხაროდ, ვისაც მოსკოვში არ უცხოვრია და გარკვეულ წრეებთან ურთიერთობა არ ჰქონია, ვერ წარმოიდგენს, რამდენად ძლიერი პიროვნება უნდა იყო, რომ ქართველმა მოსკოვში ბანკი დააარსო და მისი მმართველი გახდე. ერთი შემიძლია გითხრათ, ბანკი "როსიისკი კრედიტი" თავისი მოცულობითა და ყველა სხვა ატრიბუტებით საქართველოში დღეს არსებულ ყველა ბანკს აღემატებოდა. სამწუხაროა, რომ ადამიანები, ვინც სათანადოდ არ იცნობს ივანიშვილის პიროვნებას, აბსოლუტურად დაუმსახურებლად ლანძღავს.

გარკვეულ კრიტიკას მეც შევუერთდები, რომ კადრების საკითხებში აშკარად შეცდომები იქნა დაშვებული. თუმცა ამასაც ჰქონდა თავისი გამართლება. ძნელია, მოიგო ასეთი მძიმე არჩევნები, ხოლო შემდეგ დააკომპლექტო ქვეყანა კადრებით. იმ მცირე დროის პერიოდში, რაც ამისთვის იყო გათვალისწინებული, ეს აშკარად შეცდომების გარეშე შეუძლებელი იყო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კადრების შერჩევა და განაწილება ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. თვით საბჭოთა პერიოდში კი მას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ვინაიდან დღის წესრიგიდან არ იყო მოხსნილი თეზისი "კადრები წყვეტენ ყველაფერს".

რაში მდგომარეობს მუშაობის ძველი სტილი და რით განსხვავდება იგი თანამედროვე მართვის სისტემისაგან ამის ნათელი მაგალითია გუბერნატორის ინსტიტუტი. ისმება კითხვა, რატომ გახდა აუცილებელი გუბერნატორის ინსტიტუტის შემოღება იმ ქვეყანაში, სადაც ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორემდე 600 კილომეტრია და მაქსიმუმ, 4 საათი სჭირდება ადგილობრივ ხელმძღვანელებს დედაქალაქამდე ჩასასვლელად. საქართველო რომ იყოს, მაგალითად, როგორც რუსეთი, სადაც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში რომ თენდება, დასავლეთში საღამოა, ასეთ პირობებში გუბერნატორის ან პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლის არსებობა გამართლებული იქნებოდა. ჩვენს პირობებში კი გუბერნატორის ინსტიტუტი საზოგადოებისთვის ზედმეტი ტვირთია. დეტალურად განვიხილოთ საკითხის არსი.

პირველი – გუბერნატორის აპარატის შემოღებით ქვეყნის ხელისუფლება განთავისუფლდა იმ პრობლემებიდან, რაც თითოეულ რაიონში წარმოიშვება და რა თქმა უნდა, მისი გადაწყვეტა ფაქტობრივად გადააბარა გუბერნატორს. ამ ერთი შეხედვით სწორი გადაწყვეტილების შედეგად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რეალურად ჩამოსცილდა ადგილებზე შექმნილ მდგომარეობას და პრობლემებს, რაც ადგილებზე არსებობს. ამას ემატება ისიც, რომ მაჟორიტარი დეპუტატის არ არსებობის პირობებში ეს რგოლი კიდევ უფრო დასუსტდება, ვინაიდან მაჟორიტარი ასე თუ ისე ფლობდა სიტუაციას.

ადგილზე შექმნილ მდგომარეობაზე პასუხს კი აგებს, როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელი, ასევე გუბერნატორი. ასეთ პირობებში გუბერნატორისთვის სასურველი არაა ადგილზე არსებული ყველა პრობლემა ცენტრალურ ხელისუფლებამდე მიიტანოს, შედეგი კი მოგვიანებით იჩენს თავს.

მეორე – ადგილობრივი არჩევნების პერიოდში ხელისუფლებისათვის უფრო მოხერხებულია მოსახლეობის მობილიზება და საარჩევნო კამპანიის წარმოება გუბერნატორის მეშვეობით და შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილებზე არსებობს პარტიული ოფისები და არჩევნებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი პიროვნება, რომელიც ორგანიზაციას უწევს არჩევნების მიმდინარეობას. მთავარი საკითხი კი ასარჩევი კანდიდატურის შერჩევა ცენტრალური ხელმძღვანელობის დონეზე წყდება, რეკომენდაციის ხარჯზე. ასეთი რეკომენდატორი კი თავის გავლენას და ინტერესებს არ ივიწყებს. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელს, ან ასარჩევ პიროვნებას ქვეყნის ხელმძღვანელი პირადად არ იცნობს, არ იცის მისი ინტელექტის, ხელმძღვანელისთვის საჭირო თვისებების შესახებ. ასეთი პიროვნების არჩევის შედეგია ის, რომ სხვა მომენტებთან ერთად, ადგილებზე საკმაოდ ბევრია უკმაყოფილო, ხოლო პარტიის რეიტინგმა მიმდინარე არჩევნებში 50%-საც ვერ მიაღწია. თუ უფრო კონკრეტულად და ღრმად შევაფასებთ არჩევნების შედეგებს, ვნახავთ, რომ პარტიის მიერ რეკომენდირებულმა მაჟორიტარებმა პირველ ტურში მეტი ხმები მოაგროვეს, ვიდრე პარტიამ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ხალხი პიროვნებებს უფრო ენდობა, ვიდრე პარტიას.

მესამე – არის კიდევ რამდენიმე მომენტი, რაზედაც შეგნებულად არ მინდა ყურადღება გავამახვილო, თუ გადავხედავთ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული ზოგიერთი გუბერნატორის საქმიანობას.

მეოთხე – არსებობს ერთი დელიკატური საკითხიც – გუბერნიებად ქვეყნის დაყოფა, კუთხური ადგილმდებარეობის მიხედვით აღვივებს ვიწრო ნაციონალურ გრძნობებს, რაც ყოველთვის საშიშია, განსაკუთრებით შინაური და გარეშე მტრების არსებობის პირობებში. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის მამის, საკავშირო ცკ მდივნის სუსლოვის სიტყვის ამონარიდი:

"ქართველები დღეს თუ არა ხვალ, ან 10 წლის შემდეგ მაინც დაიწყებენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ამისთვის ჩვენ უნდა მივანიჭოთ დამოუკიდებლობა აფხაზეთს, ოსეთს, სამეგრელოს, სვანეთს..."

საბედნიეროდ, სუსლოვი დიდი ხანია გარდაცვლილია, მაგრამ მისი იდეები საკმაოდ ძლიერად ცოცხლობს თანამედროვე რუსეთში.

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, თვით მთავრობის აპარატში შექმნილი ყოფილიყო რეგიონალური დეპარტამენტი, რომლის თანამშრომლები, როგორც პრემიერის სპეცწარმომადგენლები ადგილზე შექმნილ მდგომარეობაზე უშუალოდ საქმის კურსში იქნებოდნენ. ამასთანავე აუცილებელია, ქვეყნის ხელმძღვანელობამ პერიოდულად მოისმინოს ადგილებზე შექმნილი მდგომარეობა. ყოველივე ფინანსურადაც მომგებიანი იქნებოდა.

თამაზ მიქაძე
რაიონის ყოფილი
ხელმძღვანელი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**ჯონი ჯოჯუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ბეჟან გოგია ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**ჯონი ჯოჯუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



---

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე ოჯახით იუწყებიან ბატონი

**ჯონი ჯოჯუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები თანაუგრძნობენ ქეთევან პაპავას, ნინო, თეა და დავით ჯოჯუებს

**ჯონი ჯოჯუას**

გარდაცვალების გამო.

---

ბადრი ვაშაკიძე და ნინო ნანიტაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ქეთევან პაპავას ძვირფასი მეუღლის, ნინო, თეა და დავით ჯოჯუებს საყვარელი მამის, ღირსეული სამტრედიელისა და ერთგული მეგობრის, ბატონი

**ჯონი ჯოჯუას**

გარდაცვალების გამო.

---

გულიკო გოგიტიძე და ბაჩანა ჩაბრაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ქეთევან პაპავას, ნინო, თეა და დავით ჯოჯუებს
მეუღლისა და მამის ბატონი

**ჯონი ჯოჯუას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი

**ჯონი ჯოჯუა**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

"ქეით-დენტის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთევან პაპავას მეუღლის, ბატონი

**ჯონი ჯოჯუას**

გარდაცვალების გამო.

# განცხადება

"ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის" ფარგლებში მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართება 2017 წლის 11 აგვისტოს:

10 საათზე _ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში _ წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. № 25;

12 საათზე _ ქ. ქუთაისის დ. აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის შენობაში (მისამართი: სამტრედია, სოფელი დიდი ჯიხაიში);

15 საათზე _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში _ სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა № 6.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში _ სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა № 6;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში _ წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. №25;

სს "საქართველოს რკინიგზის" _ ადმინისტრაციულ შენობაში _ ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15;

ა(ა)იპ "გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიის" ოფისში _ ქ. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. № 4.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:
ნინო ჩობანიანი. ტელ.: 591 199 149; E-mail: nino. chobaniani@railway.ge;
გია ჟორჟოლიანი. ტელ.: 577 46 64 46; E-mail: g.zhorzholiani@iceia.org; info@iceia.org;
საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2017 წლის 3 აგვისტო.

*სს "საქართველოს რკინიგზის"*
*ადმინისტრაცია*

---

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიკეთით და სათნოებით სავსე ქალბატონი, ერთგული მეუღლე, ღირსეული დედა და ბებია

**ალინა მურვანიძე-მსხილაძე**

და თანაუგრძნობენ ჭირისუფლებს.

---

და ია მელქაძე, სიძე მიშა ნიკოლეიშვილი, დისშვილები რეზო და სოსო ნიკოლეიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი მელქაძე.**

# ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა

"არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა" _ გვმოძღვრავს ბრძენი წინაპარი.

მინდა გავიხსენო სამტრედიელი ღირსეული კაცი, ჩინებული ოჯახის შვილი და ბრწყინვალე ოჯახის წინამძღოლი, ბატონი **ლევან დავითის ძე ჩხეიძე**. არა მარტო ბატონმა ლევანმა, მისმა წინაპრებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს სამტრედიის, ქვეყნის ისტორიაში.



ლევანის ბაბუა (დედის მხრიდან) კოჯინია (ნიკოლოზ) დგებუაძე მრავალმხრივ განათლებული პიროვნება და მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ. ფაქტი იმისა, რომ ის ახლობლობდა მისი დროის უთვალსაჩინოეს საერო მოღვაწეებთან, მათ შორის ნიკო ნიკოლაძესთან, ილია ჭავჭავაძესთან... ძალზე ბევრის მთქმელია.

ბატონი ლევანის დედა, ქალბატონი იდა დგებუაძე საქართველოს დამსახურებული პედაგოგი გახლდათ, ათეული წლები ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდის საქმეს. მისი აღზრდილი მოსწავლეები მრავალჯერ გამოსულან გამარჯვებულები სხვადასხვა ღონისძიებებში.

ღრმად განსწავლული პიროვნება იყო ლევანის მამა ბატონი დავით ჩხეიძე. იგი სამ ათეულ წელზე მეტხანს იყო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, ხოლო გარდაცვალებამდე მესამე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში.

ერთ-ერთი პირველი იყო ბატონი დავითი ქვეყანაში მათ შორის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება რომ მიენიჭა.

1943 წელს დაიბადა ლევან ჩხეიძე.

ქალაქის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი დაამთვრა.

მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ "მეცნიერება და ტექნიკას" რედაქციაში, თბილისის სხვადასხვა ქარხანაში.

სამტრედიაში ჩამოსვლის შემდეგ ეკავა პასუხსაგები თანამდებობები სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატში, რაიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ა. შ.

ლევან ჩხეიძის მონდომება, ნიჭი, უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მას აწინაურებენ ჯერ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

არ გასჭირვებია შესანიშნავ ოჯახში აღზრდილ, ერუდიტ პიროვნებას საერთო ენის მოძებნა თანამშრომლებთან, რაიონის ინტელიგენციასთან, მშრომელებთან, ახალგაზრდებთან.

1985 წელს იგი პარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს და სულ რაღაც სამ თვეში დაიმსახურა ცაგერელთა უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული.

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო 42 წლის ასაკში ლევან ჩხეიძის უეცარი გარდაცვალება.

გლოვამ მოიცვა მისი მშობლიური სამტრედია, ცაგერი და ცაგერელები. ალალი ცრემლით დაიტირა საზოგადოებამ კაცი, რომელსაც უამრავი სიკეთის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის, კაცი, რომელმაც ღირსეული ცოლ-შვილი დატოვა.

ღირსეულად აგრძელებენ ღირსეული კაცის ცხოვრებას ბატონი ლევანის მეუღლე, ქალბატონი ნანა და მათი შვილები, ხათუნა, რომელიც პროფესიით ექიმია და ეთუნა, რომელიც ფილოლოგია.

ხათუნას უფროს და ეთუნას ვაჟიშვილს ბაბუის სახელი, ლევანი ჰქვიათ.

ყოველივე წარმავალია ამ მზისქვეშეთში, გარდა ღირსეული სახელისა, რომელსაც ძნელად მიეკარება ბინდი დავიწყებისა.

ხსოვნაც ხომ სიცოცხლის ერთგვარი გაგრძელებაა!

*გია ბოქორიშვილი*

## ავირიდოთ დაავადებები, რომლებიც ზაფხულის ცხელი ამინდში მწვავდება

ზაფხული ეს ის დროა, როცა მზე სითბოთი და ენერგიით გვავსებს. ამ დროს ბევრი ჩვენგანი ისვენებს ისეთი ქრონიკული დაავადებებისგან, რომლებიც ცივ, ნესტიან ამინდში გვაწუხებდა, თუმცა არსებობს მთელი რიგი დაავადებები, რომლებიც ზაფხულში მწვავდება.

ივნისში სიფრთხილე მართებთ მათ, ვისაც გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. მოსალოდნელია ტაქიკარდიის გამწვავება, გულის იშემიური დაავადება, ნევრიტი. ამ თვეში ხშირად ემართებათ ინფარქტი. საჭიროა მოვერიდოთ სტრესსა და ნერვიულობას, ახლობლებს მოვექცეთ თბილად.

ივლისში მოსალოდნელია ნაწლავების ფუნქციის დარღვევა, კერძოდ: ენტერიტი, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ნაწლავის გაუვალობა, კრონის დაავადება. ამ პერიოდში სასურველია აკონტროლოთ თქვენი აღშფოთება, გაუმართლებელია სტრესი, ვჭამოთ ნაკლები რაოდენობის ხორცი.




აგვისტო კუჭის დაავადებების გამწვავების პერიოდია, ისეთის, როგორიცაა: ჰიპერაციდული გასტრიტი, კუჭის წყლული, დიაბეტი. მიზანშეწონილია შევამციროთ მჟავე და ცხარე საკვების მოხმარება, შევამციროთ ღვიძლის დატვირთვა. იყავით უფრო აქტიური, მაშინაც კი, თუ ძალიან ზარმაცი ხართ. უანგაროდ აკეთეთ კარგი საქმეები, დაეხმარეთ ხალხს და ცხოველებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, არსებობს სპეციფიკური ზაფხულის დაავადებები, როგორიცაა მზის ალერი (ფოტოდერმატოზი) და სოკო კანდიდა, რომელიც კანშია და მზის ზემოქმედების შედეგად აქტიურდება და იწყებს მოქმედებას.

ცხელ ამინდში მოსალოდნელია ორგანიზმის გადახურება, მზის დაკვრა. განსაკუთრებით უჭირთ მათ, ვისაც ზედმეტი წონა აწუხებთ. ხდება ენდოკრინოლოგიური სისტემის დისფუნქცია, განსკაუთრებით ფარისებრი ჯირკვლის. თუ გადახურებისაგან ადამიანმა გონება დაკარგა, არ უნდა დავიბნეთ, ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა. დაზარალებული მოვათავსოთ ჩრდილში და მივცეთ წყალი. შეიძლება დავუმასაჟოთ ყურები და ფეხები.

სამხრეთის რეგიონში ოფისებში აქტიურად იხმარება კონდენციონერი, რაც ორგანიზმისთვის სასარგებლო არაა. ზაფხულში სასარგებლოა მოვიხმაროთ ორგანიზმის გამაგრილებელი პროდუქტები, როგორიცაა: დიდი რაოდენობით ხილი და ბოსტნეული; რძის პროდუქტები (განსაკუთრებით ხაჭო და კეფირი); პიტნა და ზაფრანა; შვრია, რობალი, ჭვავი, ქერი, ოსპი.

**www.vipmed.ge**

# კვლავ წარმატებები

დასრულდა ქ. ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, რომლის პარალელურად "Kutaisi Open _ 2017" მიმდინარეობდა. შეჯიბრება 9 ტურად გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, თერჯოლის, ვანის, ხონის, წყალტუბოს, აბაშისა და



ზემო სვანეთის ნორჩი მოჭადრაკეები. როგორც ყოველთვის, სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის მოსწავლეებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს (დირექტორი ბატონი ივანე კილტავა). მათ 5 თასი ჩამოიტანეს. 4 მწვრთნელ ნინო ჯვარშეიშვილის მოსწავლეებმა მოიპოვეს. პირველობა არავის დაუთმო 8 წლის ნატალია გაბუნიამ და აბსოლუტური შედეგით 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა.

8 წლამდე გოგონებში ლია ფახურიძემ 9-იდან 7 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. უთანრიგო ჭაბუკებში კი 9-იდან რვანახევარი ქულით პირველზე გავიდა ვაჟა კაშია. მეოთხე თანრიგოსნებში 9-იდან 7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ბეგი ჭურკვეიძე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე პატარა, 7 წლის ირაკლი ადეიშვილი 8 წლამდე ასაკში 8, 5 მონაწილე ჭაბუკს შორის მეოთხე ადგილის მფლობელი გახდა. 8 წლამდე ასაკში პატარა ხატია რუხაძემ 9-იდან 7 ქულით მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა და დაამტკიცა მეოთხე თანრიგი (მწვრთნელი ბესო ლეჟავა). ეს ტურნირი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ნორჩმა მოჭადრაკეებმა თანრიგები დაამტკიცეს: ანდრია ტკვაცირიამ მეოთხე, ხოლო ლიზი გოგაძემ მესამე თანრიგი, ირაკლი ადეიშვილმა მეოთხე თანრიგი. ასევე კარგად ითამაშა 8 წლამდე ასაკში 8 წლის ბარბარე ძიძიგურმა, რომელმაც დაამტკიცა მეოთხე თანრიგი.



მარიამ ძიძიგურმა მეოთხე თანრიგოსნებში 9-იდან 6 ქულით მესამე თანრიგი შეასრულა. გიორგი ვაჩეიშვილმა, 8 წლის ზევით უთანრიგოებში, _ 9-იდან 5 ქულით მეოთხე თანრიგის ნორმატივი. გელა ბაღიშვილმა 8 წლამდე უთანრიგოებში ხუთნახევარი ქულით დაამტკიცა მეოთხე თანრიგი. ლუკა კობახიამ უთანრიგო 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებში აიღო მე-4 თანრიგის ერთი ბალი.

ჩვენმა საამაყო მარიამ გოთოშიამ, რომელმაც ძლიერთა ტურნირში"Kutaisi Open _ 2017"-ში, წარმატებით იასპარეზა და 70 პუნქტით გაზარდა თავისი რეიტინგი (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ზაზა ლომინაძე: "მისასალმებელია და ქების ღირსია ის, რომ სამტრედიელი ნორჩი მოჭადრაკეები ყოველ ტურნირში წარმატებით ასპარეზობენ და საპრიზო ადგილს იკავებენ, მადლობას ვუხდით სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორს ბატონ ივანე კილტავასა და ნიჭიერ სამტრედიელ მწვრთნელებს, ქალბატონ ნინო ჯვარშეიშვილსა და ბატონ ბესო ლეჟავას გაწეული შრომისათვის".

*გულიკო გოგიტიძე*
*ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი*

## მალხაზ კოხრეიძეს!



ჩვენი გაზეთის მეგობარს, ღირსეულ სამტრედიელს პატივისცემით ვულოცავთ 55 წლის საიუბილეო თარიღს.

იდღეგრძელეთ, ბატონო მალხაზ!

**"სამტრედიის მაცნე"**

## მამა შიოს (ჭაფოძე)!



გილოცავთ დაბადების დღეს, ულევ სიხარულს, სიყვარულს გისურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად. უფლის მადლი არ მოგკლებოდეთ. ღირსეულად გეტარებინოთ ნატვირთი ჯვარი.

იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!

**მეგობრები, მრევლი**

## ირაკლი კიკვაძეს!



ჯერ მხოლოდ 6 წლისა ხარ, თუმცა უკვე შესანიშნავად მოირგე "სამხედრო მუნდირიცა" და "ჯაჭვის პერანგიც". დარბაზიც არაერთხელ მოგიხიბლავს ელვარე ნიჭით. სხვაგვარად არც გეკადრება შენი მშობლების შვილს.

ლაღი, უღრუბლო ბავშვობა გქონოდეს, უფალმა გაგახაროს და გაგაძლიეროს.

შენით გვეამაყოს!

**"სამტრედიის მაცნე"**

## შოთა პაპავას!



ჩვენს უმცროს კოლეგას, ნიჭიერ ახალგაზრდას სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

წარმატებები ყოფილიყოს შენი მეგზური, ჩვენო შოთიკო. უფალი გმფარველობდეს!

**"სამტრედიის მაცნე"**

# რატომ უნდა მივირთვათ პირველ რიგში დესერტი

როგორც წესი, ადამიანები გადადებენ ხოლმე ტკბილეულს დესერტზე. მიიჩნევა, რომ ტკბილეული ჭამის მადას კლავს. გავიხსენოთ, რას ვეუბნებით ხოლმე ბავშვებს: "სანამ არ შეჭამ წვნიანს, კამფეტს ვერ მიიღებ!". მაგრამ მეცნიერებმა გამოკვლევების შედეგად უარყვეს ეს წესი და არგუმენტირებულად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია.



ექსპერტების აზრით, ყოველი საკვების მიღება უნდა დაიწყოს ტკბილეულით, იმიტომ, რომ ადამიანის ტვინი უფრო სწრაფად აწვდის სიგნალს ორგანიზმის დანაყრებაზე. დანაყრების მომენტში, ადამიანის ორგანიზმში გამოიყოფა გლუკოგინაზის ფერმენტი, რომელიც რეაგირებს გლუკოზის დონეზე. გლუკოზის ნაკლებობის შემთხვევაში, ტვინი ვერ იღებს დანაყრების სიგნალს და ითხოვს მეტი საკვების მიღებას, ვიდრე სინამდვილეში ესაჭიროება.

ამიტომ, მთავარი საკვების მიღებამდე სასურველია მივიღოთ ცოტა სწრაფი ნახშირწყლები, და სულაც არ არის აუცილებელი ეს იყოს ნამცხვარი. სწრაფი ნახშირწყლებად ითვლება ბრინჯი, პური და მაკარონი.

რა თქმა უნდა, არ უნდა გამოვიყენოთ ეს რჩევა ბოროტად. მეცნიერების აზრით ტკბილეულთა მოყვარულებს აქვთ ჯლუკოგინაზის გადაჭარბებული მაჩვენებელი, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას.

**www.vipmed.ge**

## მზევინარ ბოჩუას!



ჩვენო საყვარელო მზევინარ, რამდენი ადამიანის სიბრალულს და პატივისცემას იტევს თქვენი გული! ყოველთვის ეძებთ, რით დაეხმაროთ შეჭირვებულს და გამოსავალსაც მალე პოულობთ თქვენი დიდი გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით. ამიტომაც გვიყვარხართ, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

**"სახლი თანადგომა"**

ყველასთვის საყვარელ, დიდი იუმორით სავსე ქალბატონ მზევინარს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს ცხოვრებაში, რომელსაც ნამდვილად იმსახურებს ადამიანების მიმართ ერთგულებით, დიდი სიყვარულით და თბილი ურთიერთობებით.

**ნანული კიკაბიძე**

## ლადო ნიკოლეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ლადო, ნიჭიერ, ინტელიგენტ კაცს. იხარე, იდღეგრძელე საყვარელ ოჯახთან ერთად.

**"სამტრედიის მაცნე"**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა